



**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა  
საჯარო სფეროში ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებზე  
(2018-2022 წლები)**

ნაშრომი მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის  
ცენტრის მიერ

შემდგენელი

ლიანა ლომიძე

ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და  
განზოგადების განყოფილების მთავარი კონსულტანტი

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ანალიტიკური განყოფილება

თბილისი

2022

## სარჩევი

შესავალი .....	4
კვლევის მიზანი.....	6
კვლევის მეთოდოლოგია .....	7
ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ძირითადი საკანონმდებლო აქტები.....	8
უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები ზიანის ანაზღაურების თავისებურებასთან დაკავშირებით .....	12
1. სტატისტიკური მონაცემები.....	12
2. ზიანის ცნება და სახეები.....	17
3. პრეიუდიციული ძალა .....	20
4. პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები.....	22
5. მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის .....	28
6. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის.....	33
6.1. ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობისთვის	34
6.2. სახელმწიფოს სოლიდარული პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის.....	38
7. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის წინაპირობები	41
8. სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.....	44
9. დელიქტი .....	50
10. ზიანის ანაზღაურების სასარჩელო ხანდაზმულობა.....	54
10.1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობა .....	56
11. მტკიცების ტვირთი ზიანის დაკისრებისას .....	58
12. მორალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი .....	62
12.1. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა .....	64
12.2. ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები .....	67
12.3. უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებზე მორალური ზიანის დაკისრების პირობები .....	68

12.4. მშობლის მიერ შვილის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი წინაპირობები .....	71
13. ჯანმრთელობის დაზიანებისას სარჩოს გადახდის წინაპირობები .....	78
14. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება .....	81
ძირითადი მიგნები .....	85

## შესავალი

ადამიანის უფლება და თავისუფლება წარმოადგენს უმაღლეს ფასეულობას, რომლის აღიარება და დაცვა სახელმწიფოს ეკისრება.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების, ან საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რადგან ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოს საჯარო (ფინანსური) ინტერესი და მოქალაქის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი. პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლების მიხედვით, განასხვავებენ სახელმწიფოებო და არასახელმწიფოებო პასუხისმგებლობას.

ვალდებულების ყოველგვარი დარღვევისას დგება ზიანის ანაზღაურება უფლება, იქნება ეს სახელმწიფოებო ან არასახელმწიფოებო ვალდებულება, თუ მას შედეგად მოჰყვება ზიანი. არასახელმწიფოებო ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილ ზიანს დელიქტი ეწოდება. არასახელმწიფოებოდ ითვლება ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში.

სახელმწიფოს, ისევე როგორც კერძო პირის, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შესაძლოა, წარმოიშვას ხელმწიფოებრივი ან კანონისმიერი საფუძველიდან იმ განსხვავებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას უკავშირდება.

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ზოგადი დანაწესით, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, სახელმწიფო სახსრებიდან აანაზღაუროს მისი მოსამსახურეების მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანი. მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას.<sup>1</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეს ნორმა ყველას ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო ანაზღაურების მასშტაბი

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის, №2/3/630 გადაწყვეტილება, სამოტივაციო ნაწილის მე-2 პუნქტი.

წარმოადგენს ზარალის სრულად ანაზღაურებას.<sup>2</sup> აღნიშნული დანაწესი ემსახურება საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ორგანოებისა თუ პირებისაგან მიყენებული ზიანის ეფექტიანი და ქმედითი ანაზღაურების ინტერესის დაცვას. შესაბამისად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენცია, რომლის მე-7 ოქმზე მიერთებით, საქართველოს სახელმწიფომ დაადასტურა საკუთარი ნება მოქმედი კანონმდებლობის ან დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, უზრუნველყოს ყველა იმ პირის კომპენსირება, რომელიც მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის თუმცა, შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა ან პირი გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან, რამდენადაც ახალმა და ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება განხორციელდა არაჯეროვნად. საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის მოთხოვნათა პარალელურად, ასევე მნიშვნელოვანია ის საკანონმდებლო დანაწესი, რომელიც ადგენს პირის უფლებას, უკანონო მსჯავრდების/ბრალდების პირობებში დაექვემდებაროს კომპენსირებას.<sup>3</sup>

„ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-13 მუხლის თანახმად, ეროვნული ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს. ამ მუხლით ნაკისრი ვალდებულების განხორციელების ფორმა და წესი სახელმწიფოს დისკრეციის სფეროს შეადგენს, თუმცა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის შიდასამართლებრივი დაცვის ეფექტურობა. უფლების დაცვის საშუალება უნდა იყოს ეფექტური არამხოლოდ საკანონმდებლო რეგულაციის, არამედ მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის თვალსაზრისით. კონვენციის მე-13 მუხლის დანაწესი ეხება არამხოლოდ

<sup>2</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის, №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II. მე-2 პუნქტი.

<sup>3</sup> „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლი.

სასამართლოს, არამედ აგრეთვე, ადმინისტრაციულ ორგანოებს. გადამხდელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საჩივრის განხილვის მექანიზმის ეფექტიან მოქმედებაზე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი არ გულისხმობს იმ დონის იურისდიქციის ხელმისაწვდომობას, რომელსაც შეუძლია სრულიად უგულებელყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება.<sup>4</sup>

## **კვლევის მიზანი**

ამ ნაშრომის კვლევის მიზანია, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის თავისებურების გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ გამოყენებული ეროვნული და საერთაშორისო ნორმების საფუძველზე ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და შესწავლილი მასალებიდან ძირითადი მიგნების გამოყოფა, ასევე, კერძო პირისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის მატერიალური და მორალური ზიანის დაკისრების მაგალითების შესწავლა, სასამართლოს მიერ ამ კატეგორიის საქმეზე სასარჩელო ხანდაზმულობის გათვალისწინების წინაპირობების გამოვლინება. პრაქტიკული თვალსაზრისით, საინტერესოა სახელმწიფოსა და საჯარო მოსამსახურის სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხი, რისთვისაც სავალდებულოა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონო ქმედებით

---

<sup>4</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, შპს „სიგმა რადიო-ტელევიზია“ კვიპროსის წინააღმდეგ (Sigma RadioTelevision LTD v. Cyprus); §153; 2015 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, ფაზია ალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Fazia Ali v. the United Kingdom) §77.

მიყენებული ზიანისთვის ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინაპირობების გაანალიზება. ნაშრომის მიზანია იმ უმნიშვნელოვანესი სასამართლო განმარტებების მკითხველისთვის წარმოჩენა, რომლებიც სამართლის სხვადასხვა ნორმებთან მიმართებით ერთგვაროვან პრაქტიკას ქმნიან, რითაც ნორმის პრაქტიკული რეალიზაციის დანახვა შესაძლებელია. ნაშრომი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლების განსხვავების გამიჯვნას, ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას არა მარტო მოსამართლეების, არამედ ყველა პრაქტიკოსი თუ თეორეტიკოსი იურისტისა და სტუდენტებისთვის. განხორციელებული კვლევა მათ დაეხმარება სასამართლო პრაქტიკით დადგენილი სამართლებრივი საკითხების უკეთ გააზრებასა და აღქმაში აგრეთვე, კონფლიქტური სიტუაციების მართებულად გადაწყვეტაში. შესრულებული განზოგადების მიზანია ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობით გადაწყვეტილ დავათა შედეგების ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა მომავალში, დაინტერესებულ პირთა მიერ პოტენციური დავების პრევენციის, სამართლებრივი პერსპექტივის განსაზღვრისა და მიღებული შედეგის სასამართლო პრაქტიკასთან შესაბამისობის განსაზღვრის უზრუნველსაყოფად.

## **კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გაანალიზებული იქნა ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე, სპეციალური დარგობრივი კანონები, კანონქვემდებარე აქტები და მთავრობის დადგენილებები აგრეთვე, უზენაესი სასამართლოს 2018-2022 წლების სასამართლო პრაქტიკა, შესწავლილი იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, სამოქალაქო კოდექსის და სპეციალური კანონმდებლობის გამოყენება იმ დავაზე, სადაც მოპასუხე ორგანოა პროკურატურა, თავდაცვის სამინისტრო, ძალოვანი სტრუქტურები, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო რეესტრი, ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აღსრულების ბიურო. გამოვლინდა და გაანალიზდა პრაქტიკაში გამოყენებული საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები, ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით გამოყენებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

და საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები. თითოეულ საქმეზე სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებთან ერთად მეტი თვალსაჩინოებისთვის მითითებულია საკასაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმები, ძირითადი განმარტებები და მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი. სამართლებრივ დასკვნაში მოცემულია საკვლევ პერიოდში წარმოჩენილი მნიშვნელოვანი და პრობლემური სამართლებრივი საკითხები.

## **ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ძირითადი საკანონმდებლო აქტები**

სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით, აგრეთვე, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“ და ამავე კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლით – „კომპენსაცია უსწორო მსჯავრდებისათვის.“<sup>5</sup> აღნიშნული პრინციპი ასევე, განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ნორმას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან მსჯავრდებულ პირს შეუქმნას იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელმა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორმები.

ზიანის ანაზღაურების საკითხს შეეხება საქართველოს კონსტიტუცია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. თუმცა, სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, დასახელებული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ სუბიექტს სახელმწიფო წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად, საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლი

---

<sup>5</sup> ოქმი რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 23.02.2000 წლის №155-III დადგენილებით.



ზიანის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით, პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს კანონში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის.<sup>6</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეს ნორმა ყველას ანიჭებს უფლებას მოითხოვოს და მიიღოს ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოს სახსრებიდან, ხოლო ანაზღაურების მასშტაბი წარმოადგენს ზიანის სრულად ანაზღაურებას.

სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება ასევე, აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. სზაკ-ის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მხრიდან განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით. სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, სადაც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია ანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე, სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. აღნიშნული სამართლებრივი

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II-3., სამოტივაციო ნაწილის მე-3 პუნქტი.

ნორმებით, ცალსახად დგინდება, რომ ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად უნდა არსებობდეს სათანადო მტკიცებულებით დადასტურებული, სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და უკანონო ქმედების შედეგადაც სახეზე უნდა იყოს მიყენებული ზიანი. საჯარო მოსამსახურის მხრიდან დანაშაულით მიყენებული ზიანის შემთხვევაში, სათანადო მტკიცებულებად მოიზრება ასეთი მოხელის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც წარმოადგენს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი სკ-ის 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურობდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ზიანი ანაზღაურდება სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მწარმოებელ ცალკეულ თანამდებობის პირთა ბრალეულობის დადგენის გარეშე. ამ მუხლის მიზნებისათვის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისია, პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა და შესაბამისი ქმედების უკანონობის დადგენა.

სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.), პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. სკ-ის 1007-ე მუხლში საუბარია პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პროფესორ კნიპერის მიერ აღწერილ

შემთხვევასთან, რა დროსაც „კანონმდებელი შეგნებულად ირჩევს ბუნდოვან, ზოგად, არაფრისმთქმელ ფორმულირებას, იმ იმედით, რომ ეს უკანასკნელი შემდგომში სამართალწარმოების პროცესში შეივსება.“<sup>7</sup> თუ ვივარაუდებთ, რომ ჩამონათვალით („ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.“) კანონმდებელს სწორედ ზოგადი ფორმულირებისგან სურდა თავი დაეღწია, ფაქტია, საბოლოოდ, მისი მცდელობა არცთუ წარმატებული შედეგით დასრულდა. თუ ზიანის ანაზღაურებას ითხოვს პაციენტი, მაშინ 1007-ე მუხლით უნდა მოითხოვოს, ხოლო თუ ფულის დაბრუნება უნდა, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოითხოვოს პირმა არა ყოველგვარი მორალური ზიანისთვის, არამედ მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემთხვევას ასევე, წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული სიკეთის ხელყოფა. ამდენად, მორალური ზიანი ანაზღაურება არის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ფიზიკური პირისათვის მიყენებული სულიერი განცდისა თუ ფიზიკური ტკივილისათვის თანხით კომპენსირება, შესაბამისად, კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს საფუძველებს, რომლის არსებობის დადასტურებისას, პირს შეუძლია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ რეალურად მისაღები და არა აბსტრაქტულ და გარკვეულ გარემოებებზე დამოკიდებული შესაძლო შემოსავალი.

შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების (პოლიცია, პროკურატურა) პასუხისმგებლობას უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანისთვის ასევე, ითვალისწინებს სპეციალური ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“ (76-ე მუხლი), კერძოდ, პროკურატურის თანამშრომელი დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხს აგებს საერთო წესით. პროკურატურის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის,

---

<sup>7</sup> კნიპერი რ., საკანონმდებლო ტექნიკის საკითხისათვის, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, პირველი კვარტალი, 1998, 28.

შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის ანდა კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროდნად შესრულებისათვის მის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელი. „პოლიციის შესახებ“ კანონის 56.1 და 59.5 მუხლების თანახმად, პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ პოლიციელის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და თავისუფლებები, უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაასაჩივროს ეს ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურატურაში ან სასამართლოში. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, პოლიციელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით დადგენილი ნორმებით.

აღნიშნული პირების სისხლისსამართლებრივ დელიქტურ ვალდებულებებს ხსენებულ საკითხებზე, ეხება სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე თავი (332-342-ე მუხლები).

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ ამავე ნორმის მიხედვით, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

## **უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები ზიანის ანაზღაურების თავისებურებასთან დაკავშირებით**

### **1. სტატისტიკური მონაცემები**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით, 2022 წლის 10 თვეში, სულ განხილულია 55 საკასაციო საჩივარი, აქედან 4 საქმეზე მიღებულია ახალი გადაწყვეტილება, 3 საქმე გაუქმდა და დაბრუნდა ხელახლა განსახილველად, 1 საქმე დატოვებულია უცვლელად.

2022 წლის 10 თვის მანძილზე არსებითად განხილულ 3 საქმეზე მოპასუხე ორგანო – პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ორ საქმეზე მიღებულია ახალი გადაწყვეტილება, ერთ საქმეზე დაკმაყოფილდა როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი, შემცირდა დაკისრებული მატერიალური ზიანის ოდენობა, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკისრებული ზიანის ოდენობა გაიზარდა. მეორე საქმეზე დააკმაყოფილდა პროკურატურის საკასაციო საჩივარი, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით, მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო მორალური ზიანის ნაწილში დარჩა უცვლელად. ერთ საქმეზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პროკურატურის საკასაციო საჩივარი გაუქმდა მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად.

იმავე პერიოდში, არსებითად განხილულ 3 საქმეზე მოპასუხე ორგანო – ქობილისის მერია, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, აქედან, ორ საქმეზე მიღებულია ახალი გადაწყვეტილება, ხოლო ერთი საქმე გადაწყდა სახელმწიფოს სასარგებლოდ, მეორე საქმეზე შემცირდა დაკისრებული ზიანის ოდენობა, ხოლო ერთ საქმეზე დაკმაყოფილდა ქობილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი და საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად.

1 საქმეზე მოპასუხე ორგანო იყო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად საქმის გაუქმების აბსოლუტური საფუძვლის არსებობის გამო.

1 საქმე, სადაც მოპასუხე იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, დარჩა უცვლელად.

ამდენად, 2022 წლის 10 თვეში, არსებითად განხილულია ყველაზე მეტი საქმე, სადაც მოპასუხეა საქართველოს პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით 2021 წელს განხილულია 67 საკასაციო საჩივარი, აქედან 3 საქმეზე მიღებულია ახალი გადაწყვეტილება, 5 საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად, 1 საქმეზე გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

არსებითად განხილულ საქმეებზე მოპასუხება შინაგან საქმეთა სამინისტრო – 3 საქმეზე. სამივე საქმეზე მიღებულია ახალი გადაწყვეტილება, ერთ საქმეზე დაკმაყოფილდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი, შემცირდა მასზე დაკისრებული მორალური ზიანის ოდენობა, მეორე საქმეზე დაკმაყოფილდა ფიზიკური პირების საკასაციო საჩივრები და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს დაეკისრა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, მესამე საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა 2013 წლიდან, მომვლელის ხარჯების ანაზღაურება.

2021 წელს, არსებითად ასევე, განხილულია ერთი საქმე, სადაც მოპასუხეებად მითითებულია როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო და სსიპ სიტუაციების მართვის სააგენტო. დავა ეხებოდა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას, მოპასუხეების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად.

მოპასუხის – საქართველოს პროკურატურის მიმართ 2021 წელს, არსებითად განხილულ საქმეზე საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა საქართველოს პროკურატურის მოთხოვნა დაკისრებული მატერიალური ზიანის ოდენობის შემცირების თაობაზე.

ერთ საქმეზე მოპასუხედ იყო როგორც საქართველოს პროკურატურა, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახური. საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა ა(ა)იპ ფონდის საკასაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში.

მოპასუხის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ 2021 წელს, არსებითად განხილულია 1 საქმე, დაკმაყოფილდა აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში.

მოპასუხე – ქ. თბილისის მერიის მიმართ 2021 წელს, არსებითად განხილულია 1 საქმე, დაკმაყოფილდა ფიზიკური პირის საკასაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში.

მოპასუხეების – სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ არსებითად განხილულია 1 საქმე,

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში.

მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ არსებითად განხილულია 2 საქმე. ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა საჯარო რეესტრის საკასაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა გადაწყვეტილება ფიზიკური პირის სასარგებლოდ, მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, თუმცა დაუბრუნა საკასაციო საჩივარზე ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი. მეორე საქმეზე საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა ფიზიკური პირების საკასაციო საჩივარი და სარჩელის არდაკმაყოფილების ნაწილში, უცვლელად დარჩა წინა ინსტანციის მიღებული გადაწყვეტილება.

ამდენად, 2021 წელს, არსებითად განხილულია ყველაზე მეტი საქმე, სადაც მოპასუხეა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2020 წელს, ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეზე განხილულია 48 საკასაციო საჩივარი, 2 საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად, 1 საქმეზე მოპასუხე იყო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეორე საქმეზე კი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 1 საქმე გადაწყდა მოპასუხის სასარგებლოდ, მეორე კი, მოსარჩელის სასარგებლოდ.

ამდენად, 2020 წელს არსებითად განხილულია მხოლოდ 2 საქმე.

2019 წელს, ამ კატეგორიაზე შემოსულია 60 საკასაციო საჩივარი, მიღებულია 4 გადაწყვეტილება, 1 საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად, 2 საქმე დარჩა უცვლელი.

მოპასუხის – შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ არსებითად განხილულია 1 საქმე, დაკმაყოფილდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში.

მოპასუხის – საქართველოს პროკურატურის მიმართ არსებითად განხილულია 4 საქმე. საკასაციო პალატამ, ერთ საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა საქართველოს პროკურატურის საკასაციო საჩივარი და შეამცირა მორალური ზიანის დაკისრებული თანხა.

მეორე საქმეზე, საქართველოს პროკურატურის მიერ გასაჩივრებული იყო გადაწყვეტილება მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, რაც ახალი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა; მესამე საქმეზე საკასაციო პალატამ შეამცირა პროკურატურაზე დაკისრებული მატერიალური ზიანის (მგზავრობის ხარჯის) ოდენობა, დაეკისრა ადვოკატის ხარჯების დაკისრება. მეოთხე საქმეზე – საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა როგორც მოპასუხის – სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის, ასევე მოსარჩელის (მესამე პირის) საკასაციო საჩივრები და უცვლელად დარჩა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. საბოლოოდ, პროკურატურას დაეკისრა მორალური ზიანის შემცირებული თანხა.

მოპასუხის – აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შპს ბათუმის №1 საავადმყოფოს და ფიზიკური პირების (სამედიცინო პერსონალის) მიმართ ზიანის დაკისრების შესახებ დავაზე, საკასაციო პალატამ შპს ბათუმის №1 საავადმყოფოსა და აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ არსებითად განხილულია 1 საქმე, არ დაკმაყოფილდა ფიზიკური პირების საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საბოლოოდ საქმე გადაწყდა მოპასუხის სასარგებლოდ.

ამდენად, 2019 წელს, არსებითად განხილულია ყველაზე მეტი საქმე, სადაც მოპასუხეა საქართველოს პროკურატურა.

2018 წელს განხილულია ამ კატეგორიის 63 საქმე, აქედან 2 საქმეზე მიღებულია ახალი გადაწყვეტილება, 3 საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად, 1 საქმე დარჩა უცვლელი.

მოპასუხის – თავდაცვის სამინისტროს მიმართ საქმეზე მიღებულია ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ფიზიკური პირების სარჩელი ზიანისა და ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების შესახებ.



მოპასუხის – შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ერთ საქმეზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ფიზიკური პირების საჩივარი და ქმედების განხორციელების დაგალების ნაწილში, საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად; მეორე საქმეზე კი, საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ფიზიკური პირების სარჩელი, ხოლო მესამე საქმეზე საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი და მომვლელის ხარჯების ნაწილში საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად.

მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ საქმეზე, საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა ქვედა ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

მოპასუხის – ქონების მართვის სააგენტოს და თბილისის მუნიციპალური მთავრობის მიმართ საქმეზე, საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა მოპასუხეების საკასაციო საჩივრები და ზიანის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად.

ამდენად, 2018 წელს, არსებითად განხილულია ყველაზე მეტი საქმე, სადაც მოპასუხეა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

## **2. ზიანის ცნება და სახეები**

ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას.

ზიანის ანაზღაურებას საერთო მნიშვნელობა აქვს, რაც ნიშნავს, რომ ის გამოიყენება ვალდებულებით ყოველგვარი დარღვევის დროს. ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. კერძოდ, ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება. ზიანის ცნება საკმაოდ რთული დასადგენია. ზიანის, როგორც „ნებისმიერი უარყოფითი შედეგის“ ზოგადი და აბსტრაქტული დეფინიცია იმიტომ არის საჭირო, რომ მისი

ობიექტური და ადეკვატური განმარტება მოხდეს, ყოველ კონკრეტულ საქმეში არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით.

კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. სახელშეკრულებო ზიანი შეიძლება მიყენებულ იყოს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობით ან სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევის შედეგად. არასახელშეკრულებო ზიანს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები არ იყვნენ ერთმანეთთან ვალდებულებით ურთიერთობაში. არასახელშეკრულებო ზიანის მაგალითია დელიქტური ზიანი, რომელიც შედეგად მოსდევს დაზარალებულის აბსოლუტური უფლების დარღვევას. ზიანი შეიძლება იყოს ერთი მხრივ, ქონებრივი ან მატერიალური ე.ი. ობიექტურად არსებული და მეორე მხრივ, არაქონებრივი ან მორალური, რომელიც გაიგივებულია სულიერ განცდასა და ფიზიკურ ტანჯვასთან. პირს ზიანი დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად, ამასთან, ფულადი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა ეფუძნებოდეს მიყენებული ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხს. შესაბამისად, ანაზღაურების მიღების უფლების მქონე პირთა განმსაზღვრელი კრიტერიუმია პიროვნებისათვის ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვის მიყენება. მორალური ზიანი ხშირად, უფრო ძნელად ასატანია დაზარალებულისათვის, ვიდრე ქონებრივი ზიანი. მან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის მთელი ცხოვრების დამახინჯება, რომელსაც ამავე დროს, თან სდევს ძლიერი ნერვული მოშლილობა, იწვევს სერიოზულ დაავადებებს, ზოგ შემთხვევაში სიკვდილსაც კი. მორალური ზიანის დადგომის ანაზღაურების ვალდებულების წარმოიშობა პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თუ უმოქმედობის შედეგად, დაზარალებულის ცნობიერებაში მომხდარი ნეგატიური ზემოქმედების გამო, რომლებმაც გამოიწვიეს ძლიერი ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვა. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს მართლსაწინააღმდეგო ქმედება განზრახვის ფორმით მოხდა თუ გაუფრთხილებლობით, მთავარია, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ზიანის ცნებას გვაძლევს და პასუხისმგებლობის საკითხის დადგომას განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს უკავშირებს.

როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად დგინდება, სასამართლოები დავის გადაწყვეტისას აქტიურად იყენებენ ამ მუხლს. სსკ-ის 1005-ე მუხლი კი, ზიანის ანაზღაურებას უკავშირებს მხოლოდ განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევას.

კანონმდებლობა ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იცნობს, თუმცა, ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. მნიშვნელოვანია, რომ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები.<sup>8</sup>

საკასაციო პალატამ ერთ-ერთ დავაზე აღნიშნა,<sup>9</sup> რომ საექიმო შეცდომით პირისათვის მიყენებული ზიანი შესაძლოა იყოს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა გამოიხატოს ჯანმრთელობის დაზიანებაში, დამატებითი ხარჯების გაწევაში და სხვ., ხოლო მორალური (არაქონებრივი) ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებსა და სულიერ ტკივილში, რომელსაც იგი განიცდის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად.

### **სამართლებრივი დასკვნა**

კანონმდებლობა ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იცნობს, თუმცა, ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. ზოგადად, ვალდებულების დარღვევა სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. მნიშვნელოვანია, რომ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები.

<sup>8</sup> სუსგ №ბს-976-972(2კ-17) 17.07.18; №ბს-1055(კ-21) 24.05.22.

<sup>9</sup> სუსგ №ბს-327-309(2კ-07) 16.05.19.

### 3. პრეიუდიციული ძალა

პრეიუდიცია – ვითარება, როდესაც ფაქტობრივი გარემოებები არ საჭიროებენ მტკიცებას. პრეიუდიციული ძალის მქონეა საყოველთაოდ აღიარებული ფაქტები, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ. ასევე, ის ფაქტები, რომლებიც დადგენილია სასამართლოს მიერ სხვა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით და ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

პრეიუდიციის მოქმედება ვლინდება ორი მიმართულებით. ერთი მხრივ, იგი კრძალავს იგივე სარჩელის განხილვას, რომლის თაობაზეც არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და მეორე მხრივ, იგი კრძალავს იმ ფაქტების ხელახლა დადგენას, რაც დამტკიცებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. ორივე სახის პრეიუდიცია გამოიყენება იმისათვის, რომ არ მოხდეს ერთხელ უკვე განხილული საკითხისა თუ სარჩელის განხილვა ხელმეორედ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა სსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც მანამდე პრეიუდიციულ ძალას ანიჭებდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს ცალკეულ ფაქტთან მიმართებით. ცვლილება განიცადა აგრეთვე, სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტმა, რის შედეგადაც სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძველს აღარ წარმოადგენს საქმის სისხლის სამართლის წესით განხილვა. ხსენებული ცვლილებებით, კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მოხდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მტკიცებითი სტანდარტების ურთიერთგამიჯვნა. საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოება არაა დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე პრეიუდიციული ძალით, ისევე როგორც სისხლის სამართალწარმოება – სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის შედეგზე. ამასთან, პრეიუდიციული ძალის არქონა არ გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღებისა და მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებით შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. სასამართლოს არ ერთმევა უფლებამოსილება

იმსჯელოს განაჩენზე, მისი არსებობის შემთხვევაში, როგორც წერილობით მტკიცებულებაზე და გაიზიაროს ან არ გაიზიაროს მასში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.<sup>10</sup>

ამასთან, სსკ-ში XXXIV<sup>3</sup> თავის არსებობა არ ზღუდავს სასამართლოს ადმინისტრაციული წესით იმსჯელოს სისხლის სამართალწარმოებაში შექმნილ მტკიცებულებებზე, საერთო საპროცესო ნორმების საფუძველზე, როდესაც მოსარჩელის მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნა სამართლებრივი ბუნებით ადმინისტრაციულია.<sup>11</sup>

ამდენად, არ არის სრულიად გამორიცხული სისხლის სამართლის საქმის შედეგის განსხვავება ადმინისტრაციული საქმის შედეგისგან და პირიქით. სხვაობა შესაძლოა აიხსნას სამართლის შესაბამისი დარგით მოწესრიგებული პასუხისმგებლობის სხვადასხვაგვარი მატერიალურსამართლებრივი წინაპირობებით.<sup>12</sup>

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურსამართლებრივი წინაპირობები უკავშირდება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო ინდივიდის დასჯას, ხოლო ადმინისტრაციულსამართლებრივის – დელიქტური სამართალურთიერთობის მონაწილე ორგანოს მიერ ზიანის მიყენებით ხელყოფილი უფლების აღდგენას.

სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი, გარემოების მტკიცების თვალსაზრისით, სარჩელის განხილვის წესის გამარტივების საფუძველია. განაჩენის არარსებობა იწვევს მხოლოდ მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნის საერთო წესით განხილვას და არა მის დაკმაყოფილებაზე უპირობო უარის თქმას. სარჩელი, როგორც უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო დაცვის საშუალება, სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტურ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება. სარჩელი მოიცავს როგორც პროცესუალურ ელემენტს (სასამართლოსადმი მიმართვის უფლება), ისე მატერიალურსამართლებრივს (სარჩელის წარმდგენი პირის უფლება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე). სარჩელის წარმდგენის უფლება არის სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის ფორმა. სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად, სასამართლოსთვის მიმართვის

<sup>10</sup> სუსგ №ბს-144-141(2კ-14), 22.01.15; №ბს-319(კ-21)23.06.22.

<sup>11</sup> სუსგ №ბს-109(კ-21)20.07.22.

<sup>12</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ (Sarishvili-Bolkvadze v Georgia), no. 58240/08, §87.

შესაძლებლობას გულისხმობს, ხოლო შინაარსობრივად ყოველისმომცველ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს, რაც ნიშნავს საჯარო ხელისუფლების ყველა მოქმედების თუ გადაწყვეტილების სამართლებრივი შემოწმების შესაძლებლობას.<sup>13</sup>

საკასაციო სასამართლოს განმარტებით,<sup>14</sup> ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პრეიუდიციულ ძალას იძენს სამოქალაქო საქმეზე დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადგენა მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებშია შესაძლებელი ან თანაბრად შეიძლება როგორც სამოქალაქო ასევე, ადმინისტრაციული დავის განხილვისას. ამდენად, ის გარემოებები, რომლებიც ექსკლუზიურად და იმპერატიულად მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში დადგენასა და დადასტურებას ექვემდებარება, თუმცა, მიუხედავად ამისა, სამოქალაქო სამართალწარმოებისას კონკრეტული დავის განხილვის პროცესში მაინც დადგინდა, ყოველგვარი მოკვლევისა და დადგენის გარეშე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიზნებისათვის გაზიარებული ვერ იქნება, შესაბამისად, მას ვერც პრეიუდიციული ძალა მიენიჭება. ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებული და სამოქალაქო წესით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისათვის ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიზნებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭება, ფაქტობრივად, სპობს ინკვიზიციურობის პრინციპის ქმედითობას ადმინისტრაციულ პროცესში, აცლის სასამართლოს შესაძლებლობას, მტკიცებულებათა მოძიების, ფაქტების მოკვლევის მიმართ აქტიური ჩართულობით დაადგინოს ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიკუთვნებული კონკრეტული სადავო საკითხის განსაზღვრისა და გადაწყვეტისათვის საჭირო ფაქტობრივი გარემოებები.

#### **4. პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები**

კანონმდებლობა ადგენს სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, ასევე საჯარო მოხელის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას.

<sup>13</sup> სუსგ №ბს-1031(კ-20)21.06.21.

<sup>14</sup> სუსგ №ბს-420-420(კ-18) 28.03.19.

ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებასა (მოქმედება ან უმოქმედობა) და შედეგს (ზიანი) შორის პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირი.

საჯარო სუბიექტის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი გარემოება საჯარო ვალდებულების დარღვევაა.

ზიანზე პასუხისმგებელი პირის არსებობა, თავად ქმედება შეიძლება გამოიხატებოდეს ასევე, მოქმედებისგან თავის შეკავებაშიც, რაც გულისხმობს მართლწინააღმდეგობის არსებობას, რაც განიმარტება, როგორც პოზიტიური (დაწერილი) სამართლისადმი წინააღმდეგობა, ასევე მიზეზობრივი კავშირი, რომლის მიხედვითაც, ქმედებას პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს იმ უარყოფით შედეგთან, რომლის აღმოფხვრაც ზიანის ანაზღაურების უპირველესი დანიშნულებაა.<sup>15</sup>

ამდენად, ქმედების უკანონობა დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, რომელიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იქნება დამდგარ ზიანთან.

პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი. ზიანის ანაზღაურებისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს მოცემული სამივე კომპონენტი ერთდროულად, რომელიმეს არარსებობა გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საკასაციო პალატამ ერთ-ერთ დაგაზე<sup>16</sup> აღნიშნა, რომ ზოგადად, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა გახდეს, მოიაზრებს შესაბამისი პირის მხრიდან როგორც აქტიური მოქმედების განხორციელებას, ისე უმოქმედობასაც, რამაც შეიძლება არანაკლებ მძიმე შედეგი გამოიწვიოს. მოპასუხე

<sup>15</sup> მიზეზობრივი კავშირი გულისხმობს, რომ დამდგარი შედეგი - ზარალი უნდა იყოს უშუალოდ სახელმწიფო ორგანოს უკანონო ქმედებით (აქტივით) გამოწვეული და არ დადგებოდა, რომ არა შესაბამისი ორგანოს უკანონო ქმედება (აქტი) (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/4/735 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები - მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-18).

<sup>16</sup> სუსგ .№ბს-364(4კ-20) 16.09.21.

ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმართებაში, მათი უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტებით (დებულებებით) გათვალისწინებულია სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფ მიზეზობრიობის ვაჭვში აქტიური მოქმედებით ჩართვისა და სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის თავიდან აცილების ვალდებულება. განვითარებულ მოვლენებთან მიმართებაში, უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისი რეაგირებისაკენ მიმართული ქმედება თითოეული ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს, თუმცა დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელების შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს რეალური. იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობამ (განვითარებულ მოვლენასთან მიმართებაში პრევენციის ან რეაგირების კუთხით შესაბამის ვალდებულებათა განუხორციელებლობამ) წარმოშვას ბრალეული მიზეზობრიობა, აუცილებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდეს მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა რეალურად განხორციელების შესაძლებლობა. ამასთან, უნდა დადგინდეს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებელი და სავალდებულო მოქმედებით, თავიდან იქნებოდა აცილებული შედეგი, რომელმაც კონკრეტული პირის (პირებისათვის) ზიანი გამოიწვია. მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ზიანი, რომლის თავიდან აცილების შესაძლებლობაც გააჩნია კანონით გათვალისწინებულ სუბიექტს – ადმინისტრაციულ ორგანოს, განპირობებულია გარეშე ფაქტორებით, ხოლო ორგანოს შესაძლო უმოქმედობით გამოწვეული ბრალეულობის საკითხი უნდა დადგინდეს თავად ამ ფაქტორებზე ზემოქმედების და საფრთხის შემცირების ან თავიდან აცილების შესაძლებლობით.

სხვა დავაზე<sup>17</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას, ასევე გათვალისწინებულია საჯარო მოხელეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა, თუ ისინი მოქმედებდნენ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, თუმცა აღნიშნული თავად სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, რომ სათანადო საფუძვლების არსებობისას, ზიანის ანაზღაურებით გამოწვეული ზარალი რეგრესის წესით მიიღოს შესაბამისი საჯარო მოხელისაგან. ამდენად, ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც იმთავითვე უზრუნველყოფს დაზარალებული პირისათვის მიყენებული ზიანის

<sup>17</sup> სუსგ №ბს-222(კ-კს-20), 27.05.21.



კომპენსირებას და წარმოშობს რეგრესულ მოთხოვნას საჯარო მოხელის მიმართ, თუკი ეს უკანასკნელი მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. პალატამ ასევე განმარტა, რომ ბრალი არ წარმოადგენს უკანონო ბრალდების/მსჯავრდების ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების აუცილებელ წინაპირობას. მნიშვნელოვანია, რომ სკ-ის 1005.3 მუხლიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, დამდგარი ზიანის, მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან ერთად, სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება, რომლის განსაზღვრებაც 1005.3 მუხლში არ არის მოცემული.

საკასაციო პალატის განმარტებით,<sup>18</sup> რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს სახელმწიფო ანაზღაურებს – გამოძიების, პროკურატურის ორგანოების და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების განვრცობა სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მოწესრიგებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი აქვს უკანონო ბრალდებისა და უკანონო მსჯავრდების შემთხვევაში.

სხვა დავაზე<sup>19</sup> პალატამ აღნიშნა, რომ ზოგადად, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელია ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრინციპი (სკ-ის 992-ე მუხ.), თუმცა, აღნიშნული დანაწესი აბსოლუტური ხასიათის არ არის. სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად და მისი დაკმაყოფილებისათვის საკმარისია ზიანის არსებობის დადგენა, ქმედების უკანონობა და სახეზე ყოფილიყო პირის მარეაბილიტირებელი გარემოებები.

<sup>18</sup> სუსგ №ბს-432-429(2კ-17), 07.02.19.

<sup>19</sup> სუსგ №ბს-19-18(კ-17), 29.06.17.

დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების განვრცობა სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მოწესრიგებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანონო ბრალდებისა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონო შეფარდების შემთხვევაში.

საკასაციო პალატის განმარტებით,<sup>20</sup> ზიანის ანაზღაურებისათვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები. კერძოდ, პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), დამდგარი ზიანი, მიზეზშედევობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და შედეგს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ ბრალეული ქმედება წარმოშობს ზიანს, ხოლო პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

სახელმწიფოს თუ საჯარო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ არის დამოკიდებული ზიანის მიმყენებელი საჯარო მოსამსახურეების იდენტიფიცირებაზე. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგომის დროს გადამწყვეტი არ არის ქმედების განმახორციელებელი კონკრეტული ინდივიდ(ებ)ის ვინაობის დადგენა. ამასთან, მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, მიცემულ იქნენ თუ არა აღნიშნული პირები სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში. არსებითია, დასტურდებოდეს უშუალოდ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ზიანის მიყენება და მიზეზობრივი კავშირი ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.<sup>21</sup>

საკასაციო პალატამ თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა<sup>22</sup>, რომ არ არსებობს ზიანის წარმომშობი საქმიანობის განმახორციელებელი კონკრეტული ფიზიკური პირის ვინაობის დადგენის საჭიროება სზაკ-ის 208-ე, სკ-ის 1005.1 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნის

<sup>20</sup> სუსგ №ბს-919(2კ-20), 16.09.21.

<sup>21</sup> სუსგ №ბს-319(კ-21), 23.06.22.

<sup>22</sup> სუსგ №ბს-319(კ-21), 23.06.22; №ბს-1031(კ-20), 21.06.21.

დაკმაყოფილებისთვის, თუმცა, უნდა დადასტურდეს ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა დელიქტურ ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგომისათვის უშუალოდ ზიანის მიმყენებელ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობის დადგენის საჭიროების არარსებობას. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოხელის ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, უნდა გამოდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში ან უხემ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, არსებითა დადასტურდეს ქმედების უკანონობა, ხოლო ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. როგორც არაერთხელ აღინიშნა, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

### **სამართლებრივი დასკვნა**

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უწინარესად მიმართულია შელახული სამართლებრივი სიკეთის ან დარღვეული უფლების აღდგენისა და შენარჩუნების ინტერესისკენ.

ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად უნდა არსებობდეს სათანადო მტკიცებულებით დადასტურებული, სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და უკანონო ქმედების შედეგადაც სახეზე უნდა იყოს მიყენებული ზიანი.

პირველ ყოვლისა, ზიანის ანაზღაურებისთვის, პირის ქმედება უნდა ატარებდეს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და იწვევდეს პირისთვის ზიანის მიყენებას.

ზაკ-ის 208.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის

განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, ზაკ-ის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი.

ამასთან, ზიანი უნდა მიაღგეს ქმედების განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმით. აგრეთვე, მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს – ზიანს შორის. ასევე, მოხელის უკანონო ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მდგომარეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი და უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ორგანიზაციაზე (სახელმწიფოზე) ორიენტირებული პასუხისმგებლობის დროს ზიანის გამომწვევი ქმედების ორგანოსთვის შესარაცხად აუცილებელი არაა ქმედების განმახორციელებელი კონკრეტული ინდივიდის ან ინდივიდების ვინაობის დადგენა. ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურობდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

## **5. მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის**

კანონმდებლობა ადგენს სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი ქმედების უშუალო შედეგს, უნდა არსებობდეს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი.

იმისათვის, რომ პირს დაეკისროს ქონებრივი პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის, უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მისი მოქმედების (უმოქმედობის) უშუალო შედეგს ე.ი. არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის.<sup>23</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მიზეზობრივი კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია, რაც გულისხმობს ორი მოვლენის არა უბრალო ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, არამედ შედეგის აუცილებელ თანმიმდევრობას თავისი მიზეზის მიმართ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მიზეზობრივი კავშირის დადგენა ინდივიდუალურად ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით. კაუზალობაზე მსჯელობისას უნდა შეფასდეს არა ობიექტური შესაძლებლობა შედეგის დადგომისა, არამედ უკვე დამდგარი შედეგის კავშირი კონკრეტულ გარემოებებთან. შესაბამისად, მიზეზობრიობის მთავარი ასპექტია არსებითი კავშირი, სადაც დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს.<sup>24</sup>

ზიანის ანაზღაურების (როგორც ფაქტობრივად დამდგარი დანაკლისის, ასევე მიუღებელი შემოსავლის) მოვალეობის დაკისრების უმთავრესი წინაპირობა მიზეზობრივი კავშირია მოვალის ქმედებასა და ქმედების შედეგად დამდგარ ზიანს შორის, რაც ღვინდება ე. წ. ეკვივალენტურობის თეორიის საფუძველზე, რომლის თანახმად, ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და შედეგისთვის თანაბარმნიშვნელოვანს წარმოადგენს (ეკვივალენტურს), თუკი დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა. მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი შეიძლება აერთიანებდეს ერთ ან რამდენიმე, შემთხვევით ან მოსალოდნელ, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიზეზს. მიზეზშედეგობრივი კავშირისას, უმნიშვნელოვანესია მიზეზებისა და დამდგარი შედეგის ფაქტობრივი ურთიერთკავშირის დადგენა. ამ მიზნით, დაზარალებული პირი ვალდებულია დაამტკიცოს როგორც ზიანის არსებობა, აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი მოვალის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მიზეზობრივი კავშირი, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ქმედების მართლზომიერება და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად, იმ პირმა ვისაც ზიანი მიადგა,

<sup>23</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 68.

<sup>24</sup> სუსგ №ბს-830-822(კ-16), 12.10.17.

უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რათა დაამტკიცოს შესაძლებლობის ფარგლებში, ზიანის არა მარტო არსებობა, არამედ მისი რაოდენობა და ღირებულებაც.<sup>25</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი ამასთან, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, რაც დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის მატერიალური შედეგი, რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა, მატერიალურ ზიანად მიიჩნევა.<sup>26</sup>

ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის). 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურობდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი თავის მხრივ, შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევას, დელიქტის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის – ბრალის გათვალისწინების გარეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობის თაობაზე. კერძოდ, 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან

<sup>25</sup> სუსგ №ბს-705 (კ-21), 03.05.22; სუსგ №ბს-508 (2კ-21), 12.07.22.

<sup>26</sup> სუსგ №ბს-1330-1315 (კ-11), 09.02.12.

გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო – გამომძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას, ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. მნიშვნელოვანია, რომ 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, დამდგარი ზიანის, მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან ერთად, სახეზე უნდა იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება.<sup>27</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთი განმარტებიდან გამომდინარე, „პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენია, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს.“<sup>28</sup>

ერთ-ერთ დავაზე<sup>29</sup> პალატამ აღნიშნა, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირისას, უმნიშვნელოვანესია მიზეზებისა და დამდგარი შედეგის ფაქტობრივი ურთიერთკავშირის დადგენა. ამ მიზნით, დაზარალებული პირი ვალდებულია, დაამტკიცოს როგორც ზიანის არსებობა, აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი მოვალის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ქმედების მართლზომიერება და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად იმ პირმა, ვისაც ზიანი მიაღვა, უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რათა დაამტკიცოს, შესაძლებლობის ფარგლებში, ზიანის არა მარტო არსებობა, არამედ მისი რაოდენობა და ღირებულებაც. ქმედების უკანონობა დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, რომელიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იქნება დამდგარ ზიანთან.

ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს.

<sup>27</sup> სუსგ №ბს-364 (4კ-20) 16.09.21.; №ბს-222 (კ-20) 27.05.21.

<sup>28</sup> სუსგ №ბს-432-429 (2კ-17) 07.02.19; №ბს-705(კ-21), 03.05.22; №ბს-485-474 (2კ-14) 04.06.15.

<sup>29</sup> სუსგ №ბს-508 (2კ-21), 12.07.22.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია რეალური ზიანის ზუსტი გამოანგარიშება, სასამართლო გამოანგარიშებას განახორციელებს მის ხელთ არსებული ფაქტების საფუძველზე.

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>30</sup> საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ დელიქტური პასუხისმგებლობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ზიანის მიყენების ფაქტი და მიზეზობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მიზეზობრივი კავშირი ტრადიციული გაგებით, პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი აუცილებელი ელემენტია. მიზეზობრივი კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია, რაც გულისხმობს ორი მოვლენის არა უბრალო მუდმივ თანმიმდევრობას, არამედ შედეგის თანმიმდევრობას თავისი მიზეზის მიმართ. მიზეზობრიობის მთავარ მომენტს წარმოადგენს არსებითი კავშირი, სადაც დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს. პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს მიყენებული ზიანისთვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

პალატის განმარტებით, მხარისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი, რომლის არსებობა და მიზეზშედეგობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და ზიანის წარმოქმნას შორის დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით, ექვემდებარება სრულად ანაზღაურებას, რადგან ზიანის ანაზღაურების მთავარ მიზანს წარმოადგენს მიყენებული დანაკლისის გამოსწორება.

### **სამართლებრივი დასკვნა**

მიზეზობრიობის კატეგორია ფილოსოფიურია და გულისხმობს ყველა იმ აუცილებელი პირობის ერთობლიობას, რომელთა გარეშე კონკრეტულ დროსა და ადგილას შედეგი არ დადგებოდა. იურისპრუდენციაში მიზეზობრივი კავშირი მოვლენებს შორის იმგვარი კავშირია, როცა ერთი მოვლენა (მიზეზი) წინ უძღვის მეორეს (შედეგს) და წარმოშობს მას. დღესდღეობით, დამკვიდრებულია ადეკვატური მიზეზობრიობის თეორია, რომელმაც შეცვალა ეკვივალენტური ანუ პირობათა ტოლფასოვნების თეორია (conditio sine qua non).<sup>31</sup>

<sup>30</sup> სუსგ №ბს-319 (კ-21), 23.06.22.

<sup>31</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 90.



თუ ამ უკანასკნელის თანახმად, შედეგის საერთო მიზეზი პირობათა ერთობლიობაა, თითოეული პირობა კი, კერძო მიზეზი, რომელთაც შედეგის დადგომაში თანაბარი მნიშვნელობა აქვთ, ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიით, შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.<sup>32</sup>

მიზეზობრივი კავშირი არის სახეზე, როდესაც ზიანი მოვალეობის ჩვეულებრივი შესრულების დროს დგება. სამართლებრივი თვალსაზრისით, მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს, როდესაც ზიანი დადგა ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებს გარეთ (ადეკვატურობის თეორია).<sup>33</sup> ზიანის ანაზღაურებისთვის, პირის ქმედება უნდა ატარებდეს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და იწვევდეს პირისთვის ზიანის მიყენებას. დამდგარ შედეგსა და უკანონო ქმედებას შორის კი, უნდა არსებობდეს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება. ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცებისათვის არ კმარა მხოლოდ დამდგარი სამართლებრივი შედეგის – ზიანის მიყენების ფაქტის ან/და განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღწერა. არსებითია, ამგვარ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის მტკიცება, კერძოდ, ზიანის მიყენება უნდა წარმოადგენდეს განხორციელებული ქმედების უშუალო და გარდაუვალ შედეგს.

## **6. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის**

ადამიანის უფლება და თავისუფლება წარმოადგენს უმაღლეს ფასეულობას, რომლის აღიარება და დაცვა სახელმწიფოს ეკისრება.

---

<sup>32</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), ჟურნ. სამართლის ჟურნალი 1, თბილისი, 2009, გვ. 83.

<sup>33</sup> მაკარიძე დ., ხაზარაძე გ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში, თბილისი, 2014, გვ. 61.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების (საჯარო მოსამსახურეების) მიერ მიყენებული ზიანისათვის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ქართულ დელიქტურ სამართალში. საკითხის სირთულე გამომდინარეობს იქიდან, რომ ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოს საჯარო (ფინანსური) ინტერესი და მოქალაქის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი.<sup>34</sup> იმისათვის, რომ სახელმწიფოს დაეკისროს მისი მოსამსახურის უკანონო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, აუცილებელი და სავალდებულო პირობაა, რომ ზიანის გამომწვევი უკანონო ქმედება ჩადენილი იყოს დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება მაშინ, როდესაც დამსაქმებელი, დასაქმებულის ხელით ანუ ამ უკანასკნელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, არღვევს სახელმწიფოს პოზიტიურ ან ნეგატიურ ვალდებულებას.

### **6.1. ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობისთვის**

სახელმწიფოს, მისი პოზიტიური ვალდებულებების შესრულების მიზნით, მინიჭებული აქვს ცალკეული საჯაროსამართლებრივი ბუნების მქონე ქმედებების განხორციელების საშუალება. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ყოველთვის წინასწარ არის განსაზღვრული და უკავშირდება ადამიანის კონკრეტულ უფლებას ანუ სახელმწიფოსთვის ყოველთვის წინასწარაა დადგენილი თუ რა მიზნის მიღწევის ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს. მაგალითად, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას პირის თავისუფლება მესამე პირის მხრიდან ჩარევისგან და მასვე დაეკისრება შესაბამისი ანაზღაურების გადახდა თუ პირმა სახელმწიფოს არამართლზომიერი ქმედების შედეგად დაკარგა თავისუფლება.<sup>35</sup>

სახელმწიფოს შესაძლოა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, მისი პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გამო. კერძოდ, დანაშაულის გამოძიების ვალდებულების შეუსრულებლობისთვის. სახელმწიფომ ქმედითი რეაგირება უნდა მოახდინოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტებზე, რადგან სახელმწიფოს არამართო უფლებების ხელყოფა ეკრძალება

<sup>34</sup> ტურავა პ., წიკელაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2013, გვ. 13.  
<sup>35</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი სამი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ. 2001, მუხლი 317, გვ. 34.

(ნეგატიური ვალდებულება), არამედ ვალდებულია უფლების დარღვევისას, შემუშავებული ჰქონდეს დაცვის ეფექტური, ქმედითი მექანიზმები და ფაქტობრივადც განახორციელოს ისინი (პოზიტიური ვალდებულება).

ადმინისტრაციული დავის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების ჯეროვნად შესრულების საკითხი. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე<sup>36</sup> აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული დავის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილი იყო შეეფასებინა სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების საკითხი. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სახელმწიფომ ქმედითი რეაგირება უნდა მოახდინოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტებზე, რადგან სახელმწიფოს არამართო უფლების ხელყოფა ეკრძალება (ნეგატიური ვალდებულება), არამედ ვალდებულია უფლების დარღვევისას, შემუშავებული ჰქონდეს დაცვის ეფექტური, ქმედითი მექანიზმები და ფაქტობრივადც განახორციელოს ისინი (პოზიტიური ვალდებულება).

სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება შეიძლება დაირღვეს მხოლოდ საჯაროსამართლებრივი ქმედებით. თუ დელიქტი გამოიწვია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, საჯაროსამართლებრივმა ქმედებამ, მაშინ დარღვეულია სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>37</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის<sup>38</sup> სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, სახელმწიფო კისრულობს პოზიტიურ ვალდებულებას, საკუთრების უფლების რეალიზაციისათვის სათანადო ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარანტიების შექმნის გზით, უზრუნველყოს თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე, საკუთრების უფლების ობიექტის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში, ვალდებულია თავად არ ხელყოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში ასახული

<sup>36</sup> სუსგ №ბს-252-250 (კ-17), 25.05.17.

<sup>37</sup> სუსგ №ბს-1505(კ-18), 26.09.19

<sup>38</sup> ამჟამად საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი.

პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს საკუთრების უფლების დასაცავად კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, „ფიზიკურ პირებსა თუ კომპანიებს შორის სამართალწარმოების შემცველ საქმეებთან მიმართებითაც კი.“ ეს კი, კონკრეტულად გულისხმობს, რომ „სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ სასამართლო პროცედურები, რომლებიც სთავაზობს აუცილებელ პროცედურულ გარანტიებს და, შესაბამისად, შესაძლებელს ხდის ეროვნული სასამართლოებისთვისა და ტრიბუნალებისთვის, კერძო პირებს შორის ნებისმიერ დავაზე აწარმოონ სამართალწარმოება ეფექტიანად და სამართლიანად.“<sup>39</sup>

სხვა საქმეზე,<sup>40</sup> პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 19.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ზემოხსენებული ნორმიდან გამომდინარე სახელმწიფოს ეკისრება ნეგატიური ვალდებულება – არ განახორციელოს ისეთი მოქმედებები, რომლებიც იწვევს საკუთრების უფლებაში ჩარევას, ამასთან, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებას შეადგენს იმგვარი სამართლებრივი რეგულიაციების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს საკუთრების უფლების ეფექტიან დაცვას.

პოზიტიური ვალდებულების შესრულების პროცესში, შესაძლოა სახელმწიფომ დაარღვიოს მისი ნეგატიური ვალდებულება. სახელმწიფოს მიერ საჯაროსამართლებრივი ქმედებების განხორციელების გზით, მისი პოზიტიური ვალდებულებების შესრულების პროცესში, ასევე ეკისრება ვალდებულება თავი შეიკავოს ადამიანის უფლებების დარღვევისგან და მათში არ ჩაერიოს გაუმართლებლად, საკმარისი საფუძვლის გარეშე აღნიშნულს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება ეწოდება. უმნიშვნელოა, რომელ ვალდებულებას დაარღვევს სახელმწიფო, პოზიტიურს თუ ნეგატიურს, ორივე შემთხვევაში დელიქტს ექნება საჯაროსამართლებრივი ხასიათი. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება შეიძლება დაირღვეს მხოლოდ საჯაროსამართლებრივი ქმედებით თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, დელიქტი გამოიწვია საჯაროსამართლებრივმა ქმედებამ, მაშინ დარღვეულია სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება.

<sup>39</sup> სოვტრანსავტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ (Sovtransavto Holding v. Ukraine), No. 48553/99, 25.9.02. 54-ე პარაგრაფი.

<sup>40</sup> სუსგ №ბს-740-736 (კ-17) 15.05.19.

სხვა საქმეზე,<sup>41</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ, როგორც ნეგატიური ვალდებულება (თანასწორად მოეპყრონ თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში მყოფ პირებს), ასევე პოზიტიური ვალდებულება (განსხვავებულად მოეპყრონ არათანაბარ პირობებში მყოფ პირებს, რათა მათ თანასწორი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ უფლებებსა და თავისუფლებებზე).

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>42</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა უშუალოდ შეეხება სახელმწიფოს. ეს აკრძალვა მისი ნეგატიური ვალდებულებაა. მაგრამ სახელმწიფოს იმავდროულად, ეკისრება პოზიტიური ვალდებულებაც, რომ თავის იურისდიქციაში მყოფი ადამიანები დაიცვას კერძო პირთა მხრიდან ასეთი მოპყრობისაგან. საზოგადოებაში არსებული ნეგატიური დამოკიდებულის ფონზე, შესაძლებელი იყო რისკების სათანადო შეფასება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომლის ვალდებულებაცაა დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, უნდა გამოეყენებინა მის ხელთ არსებული, კანონით მინიჭებული ყველა შესაძლებლობა, რათა უზრუნველყო მოსარჩელეთა დაცვა ღირსებისა და პატივის შემლახველი ქმედებებისაგან, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისაგან.

უკანონო პატიმრობიდან გამომდინარე მატერიალური ზიანის ანაზღაურების საქმეზე,<sup>43</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ მარეაბილიტირებელი გარემოების არარსებობის პირობებში, მოსარჩელე მიიღებდა შემოსავალს ხელფასის სახით. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც არ დასტურდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების შედეგად მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის არსებობა, გამოირიცხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებულ საპროცესო ღონისძიებებსა და შემოსავლის მიუღებლობას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი, რაც მოსარჩელისათვის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი პირობა შეიძლება გამხდარიყო.

<sup>41</sup> სუსგ №ბს-864-860 (კ-17) 15.03.18.

<sup>42</sup> სუსგ №ბს-560-557 (კ-17) 14.09.17.

<sup>43</sup> სუსგ №ბს-508 (2კ-21),12.07.22.

## **სამართლებრივი დასკვნა**

სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ეკისრება მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მოთხოვნას საფუძვლად უდევს შემდეგი მოსაზრება: საზოგადოებაში არსებობს პრეზუმფცია, რომ საჯარო მოხელე თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას მოქმედებს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით და მოქალაქეებიც მათ სწორედ ამიტომ ემორჩილებიან.<sup>44</sup>

იმისათვის, რომ დამსაქმებელს დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს, ეს უკანასკნელი უნდა მოქმედებდეს თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის ფარგლებში. ამდენად, მნიშვნელოვანია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლების დადგენა.

ამდენად, საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოსათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელ და უპირობო საფუძველია მიზეზობრივი კავშირის არსებობა სახელმწიფო მოსამსახურის ქმედებასა და დამდგარ შედეგს (ზიანს) შორის, ხოლო ქმედება შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში.

### **6.2. სახელმწიფოს სოლიდარული პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სხვა ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა მიმართ სამსახურებრივ მოვალეობის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანისათვის, სახელმწიფო ამ მოსამსახურესთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. სახელმწიფოს სახელმწიფო მუშაკთან ერთად ასევე, ეკისრება სოლიდარული პასუხისმგებლობა იმ ზიანის ანაზღაურებისათვის, რომელიც გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოთა მუშაკთა განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეულმა ქმედებამ,

---

<sup>44</sup> ტურავა პ., წკებლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2013, გვ. 233.

რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების დაკისრებამ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემამ, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენებამ, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრებამ გამოიწვია<sup>45</sup>.

საკასაციო პალატის განმარტებით,<sup>46</sup> სკ-ის 1005.3 მუხლის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო – გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.<sup>47</sup>

კანონმდებლობა ადგენს საჯარო მოხელის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კი აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმართული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისკენ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.<sup>48</sup>

საკასაციო პალატამ განმარტა,<sup>49</sup> რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, სადაც აღნიშნული მოსამსახურე

<sup>45</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი სამი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. 2019, მუხლი 464, გვ. 971-972.

<sup>46</sup> სუსგ №ბს-222 (კ-კს-20), 27.05.21.

<sup>47</sup> „დისციპლინური პატიმრობის“ შესახებ ჩანაწერი ნორმას დაემატა 01.06.2017 წლის ცვლილებით.

<sup>48</sup> სუსგ №ბს-797 (კ-19), 02.07.20.

<sup>49</sup> სუსგ №ბს-890 (კ-19), 26.11.19.

მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს; ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო – გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას, ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

### **სამართლებრივი დასკვნა**

სსკ-ის 1005-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი აანაზღაუროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხელის მხრიდან ადგილი აქვს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეულ დარღვევას. თუმცა, სსკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევას ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად.

სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების შედეგად დამდგარ ზიანად მიიჩნევა ისეთი ზიანი, რომელიც დადგა პირის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისას ან სამსახურებრივი უფლებამოსილებების გადამეტების შემთხვევაში. როგორც წესი, სწორედ უფლებამოსილების გადამეტებისას ხდება ორგანოს თანამშრომლების მიერ ზიანის მიყენება, მათ მიერ კანონის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები იშვიათად წარმოადგენენ ზიანის წარმომშობ ქმედებებს. უფლებამოსილების გადამეტება, გაუფრთხილებლობა ადასტურებს სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას და არა იმას, რომ მუშაკი კერძო პირის სახით მოქმედებს. ადმინისტრაციული ორგანო თავისი საქმიანობის მიზნებს აღწევს მისი სისტემის თანამშრომლების საქმიანობის მეშვეობით, რომელთა მოქმედება ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებად ითვლება.



## 7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის წინაპირობები

სკ-ის 1005-ე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის. იმისათვის, რომ სახელმწიფოს დაეკისროს ამ ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: 1. საჯარო უფლებამოსილების განმანორციელებელი სუბიექტი (თანამშრომელი); 2. მესამე პირთა მიმართ შესასრულებელი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა; 3. მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ხელყოფა; 4. ამ ქმედებით მესამე პირთათვის ზიანის მიყენება (მიზეზობრიობა); 5. გაუფრთხილებლობისას შეზღუდვები; 6. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა.

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>50</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, სადაც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს, სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე კოდექსის 997-ე მუხლის თანახმად კი, პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

პალატამ ასევე, განმარტა, რომ სკ-ის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს, თუ სახეზეა ზიანი, აგრეთვე, ზიანი მიყენებულია სახელმწიფო/სახელმწიფო მოსამსახურის განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ზიანის

<sup>50</sup> სუსგ №ბს-919 (2კ-20) 16.09.21; №ბს-890(კ-19) 26.11.19.

ანაზღაურებისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს მოცემული სამივე კომპონენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საჯარო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის პოლიციის ორგანოების სახელმწიფო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საკმეზე,<sup>51</sup> საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების საფუძვლის არსებობისათვის მნიშვნელობა არა აქვს დაკავებულ პირთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის არსებობას, რამდენადაც სკ-ის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო მოსამსახურის – პოლიციელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის არსებობა, რაც უნდა შეფასდეს პოლიციელის უფლებამოსილების განმსაზღვრელი კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკ-ის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით, საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მაკვალიფიცირებელია, საჯარო მოსამსახურის (პოლიციელის) მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის დადგენა, რომლის ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე დადგენის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა, სასამართლოს არ გააჩნია.

საკასაციო პალატამ არაერთხელ აღინიშნა<sup>52</sup>, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება სკ-ის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის). სკ-ის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი, სკ-ის 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების

<sup>51</sup> სუსგ №ბს-1143-1137 (2კ-17) 02.10.18.

<sup>52</sup> სუსგ №ბს-432-429 (2კ-17) 07.02.19; სუსგ №ბს-222 (კ-კს-20) 27.05.21.

ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურებოდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. თავის მხრივ, სკ-ის 1005-ე მუხლი შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევას, დელიქტის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის – ბრალის გათვალისწინების გარეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობის თაობაზე. კერძოდ, სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო – გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას, ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. მნიშვნელოვანია, რომ სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, დამდგარი ზიანის, მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან ერთად, სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთი განმარტებიდან გამომდინარე, „...პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენია, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს..“

სხვა საქმეზე,<sup>53</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ასეთი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია დადგინდეს ქმედების უკანონობა, მიზეზობრივი კავშირი და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამდენად ცალსახაა, რომ პირის ქონებრივი უფლებების უკანონო შეზღუდვა იწვევს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

<sup>53</sup> სუსგ №ბს-508 (2კ-21),12.07.22.

## **სამართლებრივი დასკვნა**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი ზიანის ანაზღაურების მთავარ პირობად განსაზღვრავს სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების დარღვევას ანუ სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებიდან გასვლას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირისათვის ზიანის მიყენება სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ უფლებამოსილების გადამეტებამ გამოიწვია, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლო უნდა დაეფუძნოს სკ-ის 1005-ე მუხლს.

„ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-13 მუხლის თანახმად, ეროვნული ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება. ქმედების მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია, იგი არ არის დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ცნობიერებასა და მის სამართლებრივ შეფასებაზე.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ვინაიდან არ დაიშვება ნორმის იმგვარად განმარტება, რომ პირს არ მიეცეს უფლების აღდგენის ეფექტური, ქმედითი შესაძლებლობა, საწინააღმდეგო ინტერპრეტაცია არ თავსდება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის და მისი უფლებების, როგორც უმაღლესი ფასეულობის პრიორიტეტულობასა და პატივისცემასთან. სკ-ის 1005-ე მუხლი გამოიყენება ისეთი დელიქტის შემთხვევაში, როდესაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ირღვევა სახელმწიფოს პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულება, რაც განაპირობებს აღნიშნული დელიქტის საჯაროსამართლებრივ ხასიათს. ამდენად, სკ-ის 1005-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი დგება მაშინ, როდესაც დამსაქმებელი, დასაქმებულის ხელით, ანუ ამ უკანასკნელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, არღვევს სახელმწიფოს პოზიტიურ ან ნეგატიურ ვალდებულებას.

## **8. სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი.

ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი შესაძლოა გახდეს სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის არსებული ხელშეკრულების შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება ან პირის კანონით დაცული სიკეთისათვის (ჯანმრთელობა, სიცოცხლე, საკუთრება) ზიანის მიყენება.

სამედიცინო მუშაკის ქცევის მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევისათვის აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა, რაც შესაძლოა გამოვლინდეს როგორც დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციების მეთოდურად თუ ტექნიკურად არასწორად განხორციელებაში, ასევე შესაბამისი ღონისძიებების სავალდებულო მოცულობის შეუსრულებლობაში. ვალდებულების წარმოშობას განაპირობებს პაციენტის უფლებების დარღვევა, მცდარი სამედიცინო ქმედება ან/და სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების ხარვეზები.

მცდარი სამედიცინო ქმედება გულისხმობს ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო დიაგნოზის ან/და სამკურნალო ღონისძიების ჩატარებას, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა.

მცდარი სამედიცინო ქმედება სათანადო შეფასებას საჭიროებს, რაც უპირველესად, მკურნალობის უარყოფითი შედეგის დადგომაში, ექიმის წვლილის დეტალურ შემოწმებას გულისხმობს. სამედიცინო შეცდომად განიხილება მხოლოდ ისეთი არასწორი ქმედება, რომელიც მიყენებულ ზიანთან უშუალო მიზეზობრივ კავშირში იმყოფება. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტში მცდარი სამედიცინო ქმედება განმარტებულია, როგორც ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. ამავე კანონის 50-ე მუხლით, მცდარი სამედიცინო ქმედებისათვის ექიმი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე<sup>54</sup> აღნიშნა, რომ სამედიცინო მომსახურების გაწევა ობიექტურად შეიცავს ზიანის მიყენების შესაძლებლობას. ამდენად, სამედიცინო სფეროს მუშაკის საქმიანობა შეიცავს გარკვეულ რისკებს, რომელიც დაკავშირებულია მკურნალობის პროცესში დაშვებულ შეცდომასთან. საექიმო შეცდომის განვრცობითი განმარტება, საექიმო ქმედების მცდარად მიჩნევა მხოლოდ მკურნალობის არასასურველი შედეგის მიხედვით გამოიწვევს ვითარებას, როდესაც მკურნალობის დადებითი შედეგის მიღწევაში ყველანაირი ხელის შემშლელი ფაქტორები (კერძოდ, მედიცინის თანამედროვე განვითარების საფუძველზე კვლევის მეთოდების არასრულყოფილება, სამედიცინო დისკრეციის ფარგლებში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, გამართლებული სამედიცინო რისკის გაწევა, ჯანდაცვის ორგანიზაციული, ეკონომიკური სირთულეები) ექიმებს უსაფუძვლო ვალდებულებებს წარმოუქმნის. საკასაციო პალატის განმარტებით, სამედიცინო პერსონალის ქმედებით გამოწვეული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან გარდაცვალების შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს დამდგარი ზიანის ანაზღაურება.

სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საქმეზე<sup>55</sup>, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი კრძალავდა სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლებას. აღნიშნულის მიუხედავად, საავადმყოფომ განახორციელა არალიცენზირებულ დარგებში საქმიანობა, სამედიცინო პერსონალის ნაწილი მოქმედებდა სათანადო სერტიფიკატის გარეშე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სკ-ის 1007-ე, 997-ე, 396-ე მუხლებიდან გამომდინარე, პაციენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტია უშუალოდ სამედიცინო დაწესებულება, რადგან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება იმ სუბიექტს, რომლის მუშაკიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანს აყენებს მესამე პირს. ასეთ დროს დამსაქმებელი პასუხს აგებს თავისი და არა სხვისი ბრალისთვის, რადგან მუშაკის ქმედება აღიქმება დამსაქმებლის ქმედებად, დამსაქმებლის ბრალი

<sup>54</sup> სუსგ №ბს-229-226 (კ-14), 11.12.14.

<sup>55</sup> სუსგ №ბს-327-309 (2კ-07), 16.05.19; იხ. ასევე, სუსგ №ბს-229-226 (კ-14), 11.12.14.

არასათანადო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევაში ვლინდება, საჭირო პერსონალის შერჩევისას, დაცული უნდა იქნეს არა მარტო საქმიანობის სფეროში მოქმედი ნორმატიული დანაწესები, არამედ საჭირო წინდახედულობის ყველა მოთხოვნა. სწორედ დამსაქმებელი განსაზღვრავს დასაქმებულის მოქმედების ფარგლებს და აქვს მისი კონტროლის ფაქტობრივი და სამართლებრივი შესაძლებლობა. სწორედ დამსაქმებელი – სამედიცინო დაწესებულება და არა დაწესებულების პერსონალი იღებს ვალდებულებას პაციენტისათვის დროული, ადეკვატური და თანმიმდევრული მკურნალობის ჩატარების შესახებ, თუმცა ამ ვალდებულების შესასრულებლად იურიდიული პირი – სამედიცინო დაწესებულება იყენებს მის მიერვე შერჩეულ მესამე პირებს – მასთან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ სამედიცინო პერსონალს. აღნიშნული გარემოებებით არის განპირობებული სამედიცინო შეცდომით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე სამედიცინო დაწესებულების და არა მისი პერსონალის პასუხისმგებლობა. განსახილველ შემთხვევაში გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ სამედიცინო დაწესებულების ბრალი გამოიხატა არა მხოლოდ არასერტიფიცირებული სამედიცინო პერსონალის პაციენტთან დაშვებით, არამედ მის მიერ არაერთ დარგში არალიცენზირებული საქმიანობის განხორციელებით. ამდენად, სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია აანაზღაუროს თავისი სამედიცინო პერსონალის არასწორი ქმედებების გამო პაციენტის გარდაცვალების შედეგად მისი დედისთვის მიყენებული მორალური ზიანი. პალატამ მიიჩნია, რომ სამედიცინო დაწესებულებასთან ერთად ადმინისტრაციულ ორგანოსაც უნდა უზრუნველყო მოსარჩელისათვის სათანადო კომპენსაციის ანაზღაურება, რადგან მას ნორმატიულად დაკისრებული ჰქონდა რიგი ფუნქციები, რომელთა ჯეროვანი განხორციელება შესაძლებელს გახდიდა მოსარჩელის შვილისათვის არალიცენზირებული და არაკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევის გამორიცხვას.

საქეიმო საქმიანობის არასწორად წარმართვისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით სხვა საქმეზე,<sup>56</sup> საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ექიმისთვის სერთიფიკატის მოქმედების 6 თვის ვადით შეჩერება აბსოლუტურად შეუსაბამო, არაადეკვატური და ლოიალური გადაწყვეტილება იყო ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებაში, რომელსაც მოჰყვა უმძიმესი შედეგი – პაციენტის გარდაცვალება. პალატის განმარტებით,

<sup>56</sup> სუსგ №ბს-744-740 (კ-17), 05.04.18.

პასუხისმგებლობის დაკისრებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, მის შეფარდებამდე დარღვევის არარსებობა, გადაცდომის სიმძიმე, პიროვნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს პროფესიული პასუხისმგებლობის გამოყენებული სახის ადეკვატურობას. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ევროსასამართლოს პრაქტიკის განზოგადება და მიუთითა კონკრეტულ საქმეებზე, რომლითაც დადგინდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა<sup>57</sup>. ერთ-ერთ საქმეზე, საკითხი ეხებოდა სამედიცინო პერსონალის დაუდევარი ქმედებით პაციენტის გარდაცვალების ფაქტს. გარდაცვლილის ნათესავებმა დაიწყეს როგორც სისხლის სამართლის ასევე, სამოქალაქო სამართლის საქმისწარმოება, თავიანთი უფლებების დასაცავად. მათ საჩივარი შეიტანეს კერძო სამედიცინო ცენტრის, ექიმისა და ექთნის წინააღმდეგ მკვლელობისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაუდევრობის ბრალდებით. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ „არც სასამართლო გადაწყვეტილებები და არც სხვადასხვა სამართალწარმოებაში წარმოდგენილი მოხსენებები არ ეხებოდა ან თუნდაც, დამაკმაყოფილებლად განიხილავდა, მომჩივნის მთავარ მოთხოვნას, რომ სამედიცინო გუნდმა არ გამოკითხა პაციენტი ან მისი ნათესავები, პაციენტის სამედიცინო ისტორიის შესახებ. სასამართლოებმა არ განიხილეს სამედიცინო გუნდის უმოქმედობა, რათა გამოეკვლიათ შესაბამისი სამართლებრივი დებულებები, მომჩივნების განმეორებითი მოთხოვნების მიუხედავად და ასევე, ის ფაქტი, რომ ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და დავის მოგვარებისათვის შეიძლება ითქვას გადამწყვეტი – საკითხი მოითხოვდა კონკრეტულ, ცალსახა გამომხაურებას სასამართლოებისგან. ნათელია, რომ აღნიშნულ სამართალწარმოებებს აკლდა საჭირო ეფექტურობა, რათა უზრუნველყო შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული ჩარჩოს იმპლემენტაცია, რომელიც შექმნილია წინამდებარე საქმეში, პაციენტის სიცოცხლის დასაცავად. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ სამედიცინო გუნდის წევრებმა, რომლებსაც ბრალად ედებოდათ დაუდევრობა, წარმოადგინეს განსხვავებული ანგარიშები მოვლენების შესახებ. შესაბამისად, სასამართლოებს სავარაუდოდ, არ განუხორციელებიათ მოვლენათა ზუსტი მიზეზობრივი კავშირის დადგენა, რომელთა ერთობლიობამაც გამოიწვია მომჩივანთა ნათესავის სიკვდილი. ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მომჩივანთა კონვენციის

<sup>57</sup> Altuğ and Others v. Turkey, 2015 და Eugenia Lazar v. Romania, 2010.



მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული გარანტიების ეფექტური დაცვა, რის გამოც ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.“ მეორე საქმეზე, მომჩივანი დავობდა თავისი 22 წლის ვაჟის გარდაცვალების თაობაზე, რაც მისი აზრით, საავადმყოფოსა და სახელმწიფოს ბრალეულობას წარმოადგენდა, რომელმაც არ ჩაატარა სისხლის სამართლის საქმისწარმოება იმ ექიმის წინააღმდეგ, რომელიც მის შვილს მკურნალობდა. ევროსასამართლომ განმარტა, რომ „ითვალისწინებს რა, რუმინული სასამართლოების უუნარობას, გამოეტანათ დასაბუთებული გადაწყვეტილება მომჩივნის შვილის სიკვდილის მიზეზების თაობაზე და იმის გათვალისწინებით, რომ ექიმებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მომჩივნის შვილის სიკვდილის გამოძიება იყო არაადეკვატური, სასამართლო სამედიცინო ანგარიშების არაადეკვატურობასთან ერთად.“

### **სამართლებრივი დასკვნა**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.), პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზოგადი წესის მიხედვით (სკ-ის 992-ე მუხ.), ანაზღაურებას ექვემდებარება მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად წარმოშობილი ზიანი. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

„პაციენტის სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა გამოირიცხოს სამედიცინო მომსახურების გამწვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის პრეზუმფცია მოქმედებს და შესაბამისად მან უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი მისი ქმედების შედეგი არ არის. დაზარალებულ მხარეს მედიცინის მუშაკის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი არ აკისრია.“<sup>58</sup>

---

<sup>58</sup> კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 190.

სამედიცინო მუშაკის ქცევის მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევისთვის, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა, რაც შესაძლოა გამოვლინდეს როგორც დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციების მეთოდურად თუ ტექნიკურად არასწორად განხორციელებაში ასევე, სამედიცინო დანიშნულების შესაბამისი დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებების სავალდებულო მოცულობის შეუსრულებლობაში.

სამედიცინო დაწესებულება და არა დაწესებულების პერსონალი იღებს ვალდებულებას პაციენტისათვის დროული, ადეკვატური და თანმიმდევრული მკურნალობის ჩატარების შესახებ, თუმცა, ამ ვალდებულების შესასრულებლად იურიდიული პირი – სამედიცინო დაწესებულება იყენებს მის მიერვე შერჩეულ მესამე პირებს – მასთან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ სამედიცინო პერსონალს. აღნიშნული გარემოებებით არის განპირობებული სამედიცინო შეცდომით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე სამედიცინო დაწესებულების და არა მისი პერსონალის პასუხისმგებლობა, თუმცა, აღნიშნული არ გამოირიცხავს დაწესებულების მიერ რეგრესის წესით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას უშუალოდ ზიანის მიმყენებელი სუბიექტების მიმართ.

## 9. დელიქტი

დელიქტური სამართალი პირთა უფლებებსა და ინტერესებში მართლსაწინააღმდეგო ჩარევის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას უზრუნველყოფს. დელიქტი ლათინური სიტყვაა და სამართალდარღვევას ნიშნავს.<sup>59</sup> არასახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე<sup>60</sup> წარმოშობილ ზიანს დელიქტი ეწოდება. დელიქტების სამართლებრივ მოწესრიგებას ეხება სკ-ის 992-ე-1008-ე მუხლები. დელიქტის ცნების ლეგალურ დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო

<sup>59</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 258.

<sup>60</sup> არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც სამართალდამრღვევმა თავისი საქმეებით ზიანი მიაყენა იმ პირს, რომელიც არ იმყოფებოდა მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში. დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, 2009, სამართლის ჟურნალი, №1, გვ. 54.

კოდექსი არ იცნობს, ხოლო დელიქტის ზოგადი ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლშია მოცემული.<sup>61</sup>

დელიქტი წარმოადგენს კანონისმიერი ვალდებულებითისამართლებრივი ურთიერთობის წყაროს, რაც გულისხმობს ერთი პირის (კრედიტორი) უფლებამოსილებას, მეორე პირისგან (მოვალისგან) მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი, ხოლო დელიქტის დროს კი, თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიმყენებლისაგან.

დელიქტური ქმედება არის პირის მიერ სხვა პირისათვის მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანი ე.ი. თუ არ არსებობს ზიანი, მაშინ არ არსებობს დელიქტური ვალდებულება.<sup>62</sup> ამასთან, ზიანი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. ზიანი უნდა ანაზღაურდეს ნატურით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, დაზარალებულს მიეცემა ფულადი ანაზღაურება. დელიქტური ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა და არა სახელშეკრულებო ვალდებულების ერთ-ერთი სახე. ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი, ხოლო დელიქტის დროს კი, თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც, დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიმყენებლისაგან. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (აღნიშნული ელემენტი გულისხმობს, რომ პირის ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს დადგენილ კანონებსა და ნორმებს. მართლწინააღმდეგობის ელემენტი წარმოადგენს დელიქტის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას),

---

<sup>61</sup> „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“

<sup>62</sup> გაბრიჩიძე გ., თოთლაძე ლ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2012, გვ. 145.

მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.<sup>63</sup> ბრალი დელიქტური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი ელემენტია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს განზრახვით ან გაუფრთხილებლობით.

არასახელშეკრულებო ზიანის წარმოშობის წინაპირობას წარმოადგენს არა რაიმე გარიგების ან შეთანხმების დარღვევა, არამედ უშუალო სამართალდარღვევა (დელიქტი), რის გამოც მას ხშირად „სამართალდარღვევიდან წარმოშობილ ვალდებულებას“ უწოდებენ.<sup>64</sup>

ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.<sup>65</sup> აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს ნატურით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, დაზარალებულს მიეცემა ფულადი ანაზღაურება.

დელიქტით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საქმეზე,<sup>66</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლის თანახმად, სამართალურთიერთობის წარმოშობის კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველია დელიქტი. შესაბამისად, დელიქტიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის წარმოშობისთვის აუცილებელი არაა ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე განცხადებით მიმართვა და ამ უკანასკნელის მიერ საკითხის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, დაზარალებულს აქვს შესაძლებლობა, ზიანის მიმყენებელი ადმინისტრაციული ორგანოსთვის განცხადებით მიმართვის გარეშე, გამოიყენოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზა დელიქტით უკვე წარმოშობილი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დასადასტურებლად.

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ განჩინებაში,<sup>67</sup> განმარტა, რომ სკ-ის 992-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დელიქტით გამოწვეული ზიანი მხოლოდ მაშინ ანაზღაურდება, თუკი პირი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, პირის მოქმედება იყო განზრახი ან

<sup>63</sup> ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ ბრალეული ქმედება წარმოშობს ზიანს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი, სუსგ, №ბს-№ბს-919 (2კ-20), 16.09.21.

<sup>64</sup> ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, მუხ. 992, 379.

<sup>65</sup> სკ-ის 408-ე მუხლი.

<sup>66</sup> სუსგ №568 (2კ-კს-20), 02.06.21.

<sup>67</sup> სუსგ №ბს-658 (კ-19), 25.02.21.

გაუფრთხილებელი (ანუ ბრალეული), უშუალოდ ამ მართლსაწინააღმდეგო, განზრახმა ან გაუფრთხილებელმა (ბრალეულმა) მოქმედებამ ზიანი მიაყენა სხვა პირს, კერძოდ, შელახა პირის ქონებრივი ან/და არაქონებრივი უფლებები ან/და კანონით დაცული ინტერესები. დელიქტით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად აუცილებელია, რომ ზემოხსენებული სამივე პირობა არსებობდეს ერთდროულად.

სხვა დავაზე,<sup>68</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების გავრცელება სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მოწესრიგებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი აქვს უკანონო ბრალდების შემთხვევაში. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადასტურდა მოსარჩელის უდანაშაულობა, ამდენად, დგინდება, რომ განხორციელების მომენტში ფორმალურად კანონიერი საგამომიებო მოქმედება - ბრალის წაყენება, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, მიიჩნევა უკანონოდ. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ უკანონო ბრალდება იმთავითვე წარმოშობს მორალურ ზიანს, პირი არ არის ვალდებული ითმინოს უკანონო ბრალდებით გამოწვეული დისკომფორტი, რაც შესაძლოა გამოიხატოს რიგი უფლებებით სარგებლობის ხელშეშლაში.

აღმასრულებლის მიერ მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებასთან დაკავშირებულ დავაზე<sup>69</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სკ-ის 1005.1 მუხლით მოწესრიგებულ დელიქტურ ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი წინაპირობები გამომდინარეობენ საქართველოს კონსტიტუციის 18.4 და სზაკ-ის 208-ე მუხლებიდან.

### **სამართლებრივი დასკვნა**

ტერმინი „დელიქტი“ უნდა განიმარტოს, როგორც სამართალდარღვევის შედეგად ზიანის მიყენება.

<sup>68</sup> სუსგ №ბს-1159 (2კ-19), 18.01.21.

<sup>69</sup> სუსგ №ბს-109 (კ-21), 20.07.22.

კერძოსამართლებრივი დელიქტისგან განსხვავებით, საჯაროსამართლებრივი დელიქტის შემთხვევაში, ყოველთვის არსებობს დელიქტის წინარე სამართალურთიერთობა. დელიქტის წინარე სამართალურთიერთობა ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის შესაძლოა არსებობდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის, რეალაქტის ან ვირტუალური ფორმით. საჯაროსამართლებრივი დელიქტის შემთხვევაში, პირდაპირ ირღვევა სახელმწიფოს პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულება. საჯაროსამართლებრივი დელიქტის შემთხვევაში, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომით ურთიერთობას და მისგან გამომდინარე სამსახურებრივ მოვალეობას, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით დაწესებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა, აქვს საჯაროსამართლებრივი ბუნება და ისევე მოწესრიგებულია საჯარო კანონმდებლობით.

## **10. ზიანის ანაზღაურების სასარჩელო ხანდაზმულობა**

სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაში პირს შეუძლია მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა. დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ხანდაზმულად არ ჩაითვლება მოთხოვნის დაყენება, თუ ზიანის ფაქტი მოგვიანებით გამოვლინდა. ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება უფლების დარღვევის შეტყობის მომენტიდან. ვადის ათვლის დამატებითი პირობის არსებობა უკავშირდება დელიქტური სამართლის თავისებურებას. დელიქტურ სამართალში პოტენციური ვალდებულებითი ურთიერთობა არსებობს პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ, რომელიც შემდგომში, ზიანის მიყენების მომენტიდან რეალიზდება. სამოქალაქო კოდექსში 1008-ე მუხლის განცალკევებულად არსებობა სწორედ, დელიქტის სპეციფიკით არის განპირობებული და ამიტომაც, მასში მოცემულია ვადის ათვლის წინაპირობები, რომლებიც განსხვავდება ზოგადი წესისგან. აღსანიშნავია, რომ სკ-ის 130-ე მუხლის პირდაპირი გამოყენება დელიქტურ მოთხოვნებზე არ არის მიზანშეწონილი. უფრო გონივრული იქნებოდა, ვადის ათვლა მიბმული იყოს დაზარალებულის მიერ კონკრეტული ინფორმაციის შეტყობის დროზე ან უკიდურეს შემთხვევაში, მოხდეს 130-ე მუხლის წინაპირობების მოდიფიკაცია და ბრალეული არცოდნის უფრო მაღალი სტანდარტის – უხეში გაუფრთხილებლობის დაწესება.

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>70</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ასეთის გამოცემის შემთხვევაში, არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმა, რომელიც ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას. სკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ მოცემულ დავაზე სააღსრულებო ბიუროსგან მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, ხოლო საქმეში დაცულია ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა უნდა მოიცვას ხსენებული აქტის ბათილად ცნობა. სარჩელის შინაარსისა და მისი აღძვრის (04.05.2015წ.) მომენტის გათვალისწინებით, აღნიშნული იქნება არა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა, არამედ მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნის – ზიანის ანაზღაურების გათვალისწინებით, სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება.

სხვა დავაზე,<sup>71</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სკ-ის 1008-ე მუხლის შესაბამისად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ ინფორმაცია მიიღო რუსთავის რაიონული პროკურატურის 2006 წლის 26 ივლისის დადგენილებით. ამდენად, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლა სწორედ ხსენებული თარიღიდან აითვლება. მოსარჩელემ მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად მოპასუხის მხრიდან დელიქტური ვალდებულების დარღვევას მიუთითა, რის გამოც დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

---

<sup>70</sup> სუსგ №568 (2კ-კს-20), 02.06.21.

<sup>71</sup> სუსგ №ბს-365 (კ-20), 21.10.20.

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავაზე,<sup>72</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ასეთი სპეციფიკური ბუნება გადამწყვეტ როლს იძენს ხანდაზმულობის ათვლის მომენტის განსაზღვრაში, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს თითოეული სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებიდან განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად უნდა ჩაითვალოს ის დრო, როდესაც ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარისათვის ცხადი გახდა მეორე მხარის მხრიდან ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული საჯარიმო სანქციების ნებაყოფლობითი შეუსრულებლობა.

### **სამართლებრივი დასკვნა**

ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების იძულებითი განხორციელება ან დაცვა, ხანდაზმულობის ვადის გასვლა იწვევს სასამართლოს მეშვეობით უფლების იძულებით განხორციელების შეუძლებლობას და არა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ჩამორთმევას, ვინაიდან პირს ნებისმიერ დროს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული უფლებების დასაცავად, თუმცა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის განხორციელება შეზღუდულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადით. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი გასვლის შემდგომ მართალია მოთხოვნის უფლება მატერიალურ-სამართლებრივად განაგრძობს არსებობას, თუმცა მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მის შესრულებაზე, ანუ მისი დაკმაყოფილება გამოირიცხება პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა აითვლება არა უფლების დარღვევის ფაქტიდან, არამედ უფლებადარღვეული პირის მიერ ამ ფაქტის ან/და ვალდებული პირის შესახებ შეტყობის მომენტიდან.

### **10.1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასაზიარების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობა**

---

<sup>72</sup> სუსგ №ბს-658 (კ-19), 25.02.21.



ერთ-ერთ საქმეზე,<sup>73</sup> სადაც მოსარჩელე ითხოვდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მისი მეუღლის გარდაცვალების გამო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, საკასაციო პალატის შეფასებით, მოსარჩელის მორალური განცდები უკავშირდება იმ დროს, როდესაც საავარიო შემთხვევის შედეგად მოსარჩელემ მიიღო ჯანმრთელობის იმგვარი დაზიანებები, რომლებიც არ იძლეოდა ცხოვრების ჩვეულებრივი წესით გაგრძელების შესაძლებლობას და არა მოსარჩელის ჯანმრთელობის გაუარესების გამო ჩატარებულ ოპერაციას, რომლის შედეგად მოსარჩელეს მარჯვენა ბარძაყის არეში დაუდგინდა მკვეთრი დესტრუქციული პროცესი და მოსარჩელემ საბოლოოდ დაკარგა რეაბილიტაციის იმედი და რწმენა, რომ მკურნალობის რაღაც ეტაპზე არასრულად, მაგრამ შესაძლებელი იყო რეალური შედეგის მიღება. საკასაციო პალატის განმარტებით, ხანდაზმულობის ვადის აღდგენის საფუძველს არ ქმნიდა ზიანის ფაქტის დადგომიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ მკურნალობისა და ქირურგიული მანიპულაციების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რამდენადაც აღნიშნული პირდაპირ კავშირშია მიღებულ ტრავმასთან და მოსარჩელის იმ დროინდელი დიაგნოზი იძლეოდა სამომავლოდ, დღეს არსებული გართულებების განვითარების პროგნოზირების საშუალებას და წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის, დასახინჩრების მიღების დროიდან ათვლის საფუძველს.

მეორე საქმეზე,<sup>74</sup> მოსარჩელემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიიღო სხეულის დაზიანება. სამსახურიდან დათხოვნას საფუძველად დაედო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც სწორედ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარი შემთხვევის შედეგად გაუარესდა. საკასაციო პალატის განმარტებით, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის სამართლებრივი შეფასებისას, უპირველესად უნდა განისაზღვროს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა ეფუძნება დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს. საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელემ თანხის

<sup>73</sup> სუსგ №ბს-976-972 (2კ-17) 17.07.18.

<sup>74</sup> სუსგ № ბს-352-352 (კ-18), 11.12.18.

ანაზღაურების მიზნით, სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების მოთხოვნით უფლებამოსილ ორგანოს მიმართა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მომხდარი ავტოავარიით გამოწვეული დიაგნოზის დადასტურებიდან 12 წლის შემდეგ. ამდენად, არ დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ, არათუ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი, არამედ აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის დაცვა.

### **სამართლებრივი დასკვნა**

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მოთხოვნის ხანდაზმულობის შემთხვევაშიც, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც მატერიალურსამართლებრივი უფლება, მაინც არსებობს. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დაზარალებულს, ასეთ შემთხვევაში არ აქვს შესაძლებლობა, იძულების წესით დაიცვას საკუთარი უფლება და ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ასეთი მოთხოვნის გადაწყვეტისას, ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება – განახორციელოს მოქმედება და ანაზღაუროს ზიანი ან თავი შეიკავოს მისგან. ამდენად, ხანდაზმულობა „აუქმებს“ არა მოთხოვნას, როგორც მატერიალურსამართლებრივ სიკეთეს, არამედ გამორიცხავს მისი იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას.

### **მტკიცების ტვირთი ზიანის დაკისრებისას**

მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, ქართული სასამართლო პრაქტიკა ძირითადად, ერთგვაროვანია. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ მხარეს ეკისრება ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი და ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დააკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა გადანაწილდეს, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების

მტკიცება, რაც მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. სასკ-ის მე-17 მუხლიდან გამომდინარე, მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესახებ სარჩელზე, როგორც მავალბელი სარჩელის ერთ-ერთ სახეზე, მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელე მხარეს. მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილება, ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი –მოსარჩელეს აკისრია. ამასთან, ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით. მოპასუხის მტკიცების ტვირთი მოიცავს არა მხოლოდ საკუთარი არაბრალეულობის დადასტურების ვალდებულებას, არამედ პასუხისმგებლობის შემსუბუქების ან მისგან სრული გათავისუფლებისათვის მას შეუძლია ასევე, მოსარჩელის ბრალეულობაც დაადასტუროს.

მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა.<sup>75</sup>

საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე<sup>76</sup> აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებზე, ზიანის არსებობა/არარსებობისა და ოდენობის დასადგენად, მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების საკითხიც, კერძოდ, სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უნდა გადაწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს სადავო გარემოებების მტკიცების გარკვეულ სტანდარტს. სკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპი ასევე, გამოხატულია სკ-ის 102-ე მუხლში, რომლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დაამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი

<sup>75</sup> სუსგ. №ას-153-2019, 08.05.19.

<sup>76</sup> სუსგ. №ბს-508 (2კ-21), 12.07.22.

მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამრიგად, მხარე ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადაწონის, ისევე როგორც მოსარჩელის მხოლოდ ახსნა-განმარტება ვერ იქნება მიჩნეული სათანადო მტკიცებულებად, იმ დროს, როდესაც მის მიერ მითითებული ფაქტის დასადასტურებლად წარსადგენია დავის საგანთან რელევანტური წერილობითი მტკიცებულებები.

საქმეზე,<sup>77</sup> რომელიც ეხებოდა მოსარჩელის საკუთრებაში რიცხული ბინიდან მესამე პირთა გამოსახლებასთან მიმართებით ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზიანის მიყენების ფაქტის, განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია. მიჩნეულ იქნა, რომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, მოსარჩელეს ისეთი მტკიცებულებები უნდა წარედგინა, რომელიც შექმნიდა შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებით ობიექტურ, რეალურ სურათს და არა ვარაუდს.

თავისუფლების აღკვეთის დროს მიღებულ ფიზიკურ დაზიანებებზე მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელისუფლებო ორგანოებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკმარისი და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რაც ეჭვქვეშ დააყენებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.<sup>78</sup> ასეთი გარემოებების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია დასკვნები გამოიტანოს სახელისუფლებო ორგანოების საწინააღმდეგოდ,<sup>79</sup> კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში. ყველა შემთხვევაში არ არის შესაძლებელი – მტკიცების ტვირთი აწევს მას, ვინც ამტკიცებს (affirmanti incumbit probatio) – პრინციპის დაცვა.<sup>80</sup>

ერთ-ერთ საქმეზე<sup>81</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მტკიცების ტვირთს ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს, თუმცა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, მეორე მხარე არ თავისუფლდება იმ გარემოებების მტკიცების

<sup>77</sup> სუსგ №ბს-740-736 (კ-17), 16.05.19.

<sup>78</sup> ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, *Salman v. Turkey*, 2000, §100.

<sup>79</sup> *Ouyid v. Belgium*, 2015, §83.

<sup>80</sup> *Blokhin v. Russia*, 2016, §140.

<sup>81</sup> სუსგ №ბს-222 (კ-ს-20), 27.05.21, ასევე, №ბს-1143-1137 (2კ-17), 02.10.18.

ვალდებულებებისაგან, რომლებზეც იგი ამყარებს საკუთარ მოთხოვნას თუ შესაგებელს. ამდენად, კანონის მითითებული დანაწესი მოსარჩელეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, დამტკიცოს მის მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა/კანონშესაბამისობა. იმავე საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესოსამართლებრივი, ისე მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობაც. შესაბამისი ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. მოცემულ შემთხვევაში, მითითებულმა მოსარჩელებმა ვერ წარმოადგინეს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები. მათი მოთხოვნა ემყარება უკანონო დაკავებიდან გამომდინარე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, თუმცა, სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდება შესაბამის ეპიზოდებში დაკავების ფაქტები. წარმოდგენილი არ იყო დაკავების ამსახველი ოქმები და მოპასუხეთა მხრიდან უარყოფილ იქნა აღნიშნული მოსარჩელების დაკავების ფაქტი.

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>82</sup> საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცებისათვის არ კმარა მხოლოდ დამდგარი სამართლებრივი შედეგის – ზიანის მიყენების ფაქტის ან/და განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღწერა. არსებითია, ამგვარ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის მტკიცება, კერძოდ, ზიანის მიყენება უნდა წარმოადგენდეს განხორციელებული ქმედების უშუალო და გარდაუვალ შედეგს. მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძვლიანობის მტკიცების მიზნით, დასახელებული გარემოებები ქმნიდა ქურდობის სამართლებრივ შემადგენლობას, რომელიც არ იყო დადასტურებული კანონით დადგენილი წესით. ამასთან, საქმეში არ იყო წარმოდგენილი სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დადასტურებდა მის საცხოვრებელ სახლში ძვირფასი ნივთების არსებობისა და მისი მოპარვის ფაქტს, რის გამოც აღნიშნული გარემოება ვერ იქნება დადასტურებული მარტოოდენ მოსარჩელის ახსნა-განმარტებითა და მითითებით.

ზიანის ფაქტის არსებობისა და ამ ზიანის მოპასუხის მიერ მიყენების ფაქტის მტკიცების თვალსაზრისით,<sup>83</sup> საკასაციო პალატამ მიუთითა სკ-ის 102-ე მუხლის პირველსა და მე-3

<sup>82</sup> სუსგ №ბს-319 (კ-21), 23.06.22.

<sup>83</sup> სუსგ №ბს-1055 (კ-21), 24.05.22.

ნაწილებზე, რომელთა თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, მოსარჩელეა ვალდებული, სათანადოდ დაასაბუთოს მისი მოთხოვნის მართებულობა. ამასთან მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს აბსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით.

### **სამართლებრივი დასკვნა**

მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის მართებულად გადაწყვეტისთვის, რაც განპირობებულია სსკ-ის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დანაწესით, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ამრიგად, მხარე ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთება სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით.

მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა არსებობის დასაბუთება მათთვის უფრო მარტივია და ობიექტურად შესაძლებელი.

## **12. მორალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი**

ზოგადი წესის შესაბამისად, პირს ზიანი დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. ზიანი შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ობიექტურად არსებული, ისე მორალური, რომელიც გაიგივებულია სულიერ განცდასა და ფიზიკურ ტანჯვასთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლმა არამატერიალური და არაქონებრივი ზიანის აღმნიშვნელ ტერმინად „მორალური ზიანი“ განამტკიცა და მიუთითა,

რომ ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, მისი მოთხოვნა შესაძლებელია მატერიალური ზიანისაგან დამოუკიდებლად. მორალური ზიანის ანაზღაურების კერძო შემთხვევას ითვალისწინებს 413-ე მუხლი. ეს ნორმა ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს პირს, ვის ჯანმრთელობასაც ზიანი მიაღება მოვალის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად. მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ კანონმდებლობით კონკრეტულად არ არის განსაზღვრული მორალური ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია მოქმედებით (უმოქმედობით) და რომელიც ხელყოფს მოქალაქის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს. მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად, ამასთან, ფულადი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანი ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობისას დგინდება და გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. ზოგადი წესის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია ბრალის არსებობა. არაქონებრივი ზიანის დადგომის შემთხვევაში, ბრალის არსებობის მტკიცების ტვირთი სპეციფიკურია, როგორც ქონებრივი ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს, მოსარჩელეზეა ზიანის არსებობის მტკიცების ტვირთი, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში, მოქმედებს ბრალის პრეზუმფცია, რაც გულისხმობს, რომ ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობა ივარაუდება, მისი უარყოფის მტკიცების ტვირთი კი, ზიანის მიმყენებელზე გადადის.<sup>84</sup> მორალური ზიანის კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არა მატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება. სასამართლოს მიერ მორალური ზიანის ანაზღაურება ფულადი ფორმით განისაზღვრება, ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

---

<sup>84</sup> ბიჭია მ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი. მართლმსაჯულება და კანონი, №3, 2016, გვ. 102.

## 12.1. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა

ზიანის ოდენობის განსაზღვრა იმ განცდილი ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს, რომელიც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის ქმედებით. განცდილი ზიანის ოდენობა კი, განეკუთვნება არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხს; ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და რელევანტური მტკიცებულებების წარდგენა კი, მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებაა.

ზოგადი წესის მიხედვით, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრავს. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედვლებით წყდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიხედვით, მორალური ზიანი ანაზღაურდება გონივრული და სამართლიანი ოდენობით. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა და სხვა. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ მორალური ზიანის სპეციფიკის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანი არ არის ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. მორალური ზიანის კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება. მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. ამასთან, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს მოწყვეტილი.



ერთ-ერთ საქმეზე<sup>85</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის, არსებითაა გათვალისწინებულ იქნეს ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ პირი მართალია, გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, თუმცა არა უშუალოდ პოლიციური ღონისძიებების, უფრო კონკრეტულად კი, პოლიციელის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელების შედეგად.

გამამართლებელი განაჩენიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საქმეზე<sup>86</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.<sup>87</sup>

ერთ-ერთ საქმეზე<sup>88</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო და ყოფითი მდგომარეობა, ჯანმრთელობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანისთვის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება როგორც კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები, ასევე იდენტურ მოთხოვნასთან დაკავშირებით სხვა საქმეებზე მანამდე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილი ოდენობები. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული დადგენილების თანახმად, მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური

<sup>85</sup> სუსგ №ბს-919 (2კ-20), 16.09.21.

<sup>86</sup> სუსგ №ბს-705 (კ-21), 03.05.22.

<sup>87</sup> Patsuria v. Georgia; Nikolaishvili v. Georgia; Jashi v. Georgia

<sup>88</sup> სუსგ №ბს-628 (2კ-20), 10.07.22.

ზემოქმედების შედეგად მას აიძულეს არჩადენილი დანაშაულის აღიარების შესახებ ჩვენების მიცემა.

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას,<sup>89</sup> სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, აგრეთვე, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა და სხვა.

### სამართლებრივი დასკვნა

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები, რომ მორალური ზიანის სპეციფიკის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანი არ არის ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. ამასთანავე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს მოწყვეტილი.

სასამართლო პრაქტიკა მორალური ზიანის მოცულობის განსაზღვრისას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხარეთა მატერიალურ მდგომარეობას. მოპასუხისათვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის დაკისრებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დელინკვენტის<sup>90</sup> გადახდისუნარიანობის რეალური შესაძლებლობები. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მორალური ზიანის მოცულობის არაგონივრულმა და უსამართლო გადაწყვეტამ დაზარალებულის ან დელინკვენტის ოჯახი მატერიალურად უმწეო მდგომარეობაში არ ჩააყენოს.<sup>91</sup>

---

<sup>89</sup> სუსგ №ბს-327-309 (2კ-07), 16.05.19.

<sup>90</sup> „დანაშაულის ჩამდენი“ ინგლისისა და ამერიკის სამართალში: პირი, რომელმაც არ შეასრულა კანონით ან ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება, დაუშვა რამე დარღვევა, ჩაიდინა დანაშაული და ა. შ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

<sup>91</sup> სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016, გვ. 241-242.

## 12.2. ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დამღვარი მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები

სხეულისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება იურიდიული ფაქტია, რომელიც წარმოშობს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუმცა, ჯანმრთელობის ყველა შელახვა არ წარმოშობს არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის უფლებას. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება გულისხმობს კანონით გათვალისწინებული პირობების ან მორალური ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლების არსებობას. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო და არა – ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევაში. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებით გამოწვეული ტანჯვისთვის ფულადი კომპენსაციის დროს გამოიყენება პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლები, კერძოდ, ზიანი, მართლწინააღმდეგობა, მიზეზშედეგობრივი კავშირი და ბრალი.

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კონტექსტში სასამართლო უნდა აფასებდეს შელახული სიკეთის ხასიათს, უფლების დარღვევით სულიერი თუ ფსიქიკური ტანჯვის მიყენების ობიექტურ შესაძლებლობას. საკასაციო პალატის განმარტებით<sup>92</sup>, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობას ქმნის არა ნებისმიერი სიკეთის ხელყოფით ზიანის მიყენება, არამედ მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომლის შედეგადაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ადგილი აქვს ადამიანის სულიერ თუ ფსიქიკურ ტანჯვას, რა დროსაც მიყენებული ზიანის ოდენობის ზუსტი ეკვივალენტით განსაზღვრა შეუძლებელია. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობას ქმნის არა ნებისმიერ შემთხვევაში მიყენებული სულიერი ტანჯვა, არამედ მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც განხორციელებული ქმედება ობიექტურად იწვევს ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობის შელახვას. მართალია, საკუთრების უფლების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს პირის ფსიქოემოციური მდგომარეობის გაუარესება, თუმცა, ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის დროს

<sup>92</sup> სუსგ №ბს-319(კ-21), 23.06.22.

მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის დაშვების შემთხვევაში, დასაშვებად უნდა მიჩნეულიყო ნებისმიერი ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის მორალური კომპენსირება, რაც ყოველად დაუშვებელია.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>93</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. სკ-ის 413-ე მუხლის დისპოზიცია ცხადყოფს, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია, კანონმდებლობა პირდაპირ იცნობდეს კონკრეტული სახის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

### **12.3. უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებზე მორალური ზიანის დაკისრების პირობები**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მიხედვით, პირს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებულია თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის №7 ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა იმის გამო, რომ ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მის მიმართ მართლმსაჯულება გამრუდდა, ამგვარი მსჯავრდების გამო სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა.

<sup>93</sup> სუსგ №ბს-919 (2კ-20) 16.09.21; ასევე, №ბს-1143-1137 (2კ-17) 02.10.18.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო – გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას, ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

უკანონო ბრალდების შედეგად დამდგარ, ასანაზღაურებელ ზიანში მოიაზრება როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი, რადგან პირის თავისუფლების ხელყოფას და ხელშეუხებლობის დარღვევას, როგორც წესი, თან სდევს პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შელახვა.

ერთ-ერთ დავაზე,<sup>94</sup> საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად ხორციელდება, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ არსებული ფაქტობრივი მოცემულობის (პირობითი მსჯავრის ხანგრძლივობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და ა.შ.) გათვალისწინებით, პროპორციულად მიიჩნია მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული მორალური ზიანის თანხის ოდენობა.<sup>95</sup>

სხვა საქმეზე<sup>96</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლი და ამ მუხლთან

<sup>94</sup> სუსგ №ბს-1202 (კ-19)25.11.21

<sup>95</sup> Patsuria v. Georgia; Nikolaishvili v. Georgia; Jashi v. Georgia.

<sup>96</sup> სუსგ №ბს-222 (კ-კს-20), 27.05.21.

მიმართებაში ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადამიანის თავისუფლებაში ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ჩარევა და კომპენსაციის ქმედითი უფლების წარმოშობა უკავშირდება ნებისმიერ პირს, ვისაც ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უკანონოდ შეეზღუდა თავისუფლება. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ისევე, როგორც ადმინისტრაციული პატიმრობა, ადმინისტრაციული დაკავებაც თავისი არსით ექცევა სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის შემადგენლობაში, რის გამოც მოცემულ მუხლში „ადმინისტრაციული დაკავების“ შესახებ ჩანაწერის არარსებობა არ ადასტურებს, რომ ადმინისტრაციულ დაკავებას, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ფორმას, არ გააჩნია მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის. საკასაციო პალატის განმარტებით, კანონით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული დაკავება უფლებაში ჩარევის დაბალი ინტენსივობით ხასიათდება, თუმცა, პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემამ, მისი ადმინისტრაციული წესით დაკავებამ, შესაძლოა წარმოშვას ნეგატიური განცდები, სტრესული მდგომარეობა, რეპუტაციის შელახვის საფრთხე, რაც თავის მხრივ, წარმოშობს სახელმწიფოს მხრიდან მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას რეაბილიტირებული პირისათვის, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა.

უკანონო მსჯავრების შედეგად რეაბილიტირებული პირისათვის ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საქმეზე,<sup>97</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 1005.3 მუხლი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას არ უკავშირებს ბრალეულ ქმედებას, ზიანის ანაზღაურებისათვის საკმარისია დადგინდეს ზიანთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა და მარეაბილიტირებელი გარემოება. ამასთან, ნორმა არ განსაზღვრავს მარეაბილიტირებელ გარემოებებს, თუმცა, ასეთად ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევა გამამართლებელი განაჩენის არსებობა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც განხორციელების მომენტში ფორმალური მართლზომიერების მიუხედავად, დაუსაბუთებლად არღვევს პირის კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. მართლსაწინააღმდეგო შედეგის არსებობა – დადასტურებული უკანონო მსჯავრდება/ბრალდება განაპირობებს ზიანის ანაზღაურების

<sup>97</sup> სუსგ №ბს-432-429 (2კ-17), 07.02.19.

ვალდებულების წარმოშობას, რადგან ბრალდებულად ცნობისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მომენტში, ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისათვის მიიჩნევა უკანონოდ. ამასთან, საგამოძიებო მოქმედებების ინფორმაციული დეფიციტის პირობებში განხორციელება, გამოძიების ლეგიტიმური მიზანი არ გამოირიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, თუმცა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის ოდენობაზე.

### **სამართლებრივი დასკვნა**

უკანონო პატიმრობასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კონვენციით აღირებულ უფლებათა დარღვევით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. ასევე, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად გარანტირებულია კომპენსაციის მიღების უფლება უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირისათვის. სსსკ-ის 92-ე მუხლის საფუძველზე პირს აქვს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებითა თუ უკანონო გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო. თუ ზიანი გამოწვეულია უკანონო ბრალდების შედეგად პირისათვის პატიმრობის შეფარდებით, პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფო ბრალდების მხარეს, რომელმაც დაუსაბუთებლად, არასაკმარისი მტკიცებულებების პირობებში მოითხოვა ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდება.

პირის უკანონოდ დაკავების ან პატიმრობის შემთხვევა კი უშუალოდ დაკავშირებულია არაქონებრივი ზიანის წარმოშობასთან და ამისათვის არ არსებობს კანონში პირდაპირი ჩანაწერის არსებობის აუცილებლობა.

## **12.4. მშობლის მიერ შვილის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი წინაპირობები**

ტერმინი „მორალური ზიანი“ ამ სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობის სფეროში მიყენებული ზიანის ამსახველია და ადამიანის ფსიქიკაში იმ ნეგატიური ცვლილებების არსებობას გულისხმობს, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში. უდავოა, რომ შვილის გარდაცვალებით მშობელი განიცდის მნიშვნელოვან მორალურ ტკივილს, რაც დაკავშირებულია განგრძობად ნეგატიურ განცდებთან და სტრესულ მდგომარეობასთან.

მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეზე<sup>98</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითია განისაზღვროს მშობლის მიერ შვილის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი წინაპირობები, კერძოდ, დადგინდეს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია თუ არა მშობლისათვის ამგვარი ზიანის ანაზღაურება და ამგვარი შესაძლებლობის დადასტურების პირობებში, განისაზღვროს, თუ რა წინაპირობები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ასეთი მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცებისათვის. მოცემულ შემთხვევაში, სათანადო საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის მიუხედავად, ჩამოყალიბებულმა ერთგვაროვანმა სასამართლო პრაქტიკამ გვერდი აუარა საკანონმდებლო ვაკუუმს და შესაბამისი პირობების არსებობისას, დასაშვებად აქცია შვილის გარდაცვალების შედეგად მშობლისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. საკასაციო პალატამ მიუთითა საერთაშორისო პრაქტიკაზე, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „უზენაესი სასამართლოს მიერ იმის დადასტურების ფონზე, რომ მომჩივანმა „უდავოდ“ განიცადა ფსიქოლოგიური სტრესი მისი ახალგაზრდა შვილის გარდაცვალების გამო, უპირობო საკანონმდებლო შეზღუდვით მომჩივანს გაუმართლებლად წაერთვა შესაძლებლობა, სასამართლოს გზით მოეთხოვა კომპენსაციის მიღება არაქონებრივი ზიანის სანაცვლოდ, როგორც მისთვის ხელმისაწვდომი სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალება.“ რაც შეეხება მორალური ზიანის ოდენობას, ზოგადი წესის მიხედვით, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო თავისი მიხედულების მიხედვით, მოსარჩელის მოთხოვნის გათვალისწინებით.

<sup>98</sup> სუსგ №ბს-919 (2კ-20), 16.09.21.



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განჩინებაში<sup>99</sup> აღნიშნულია, რომ მოსარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად უთითებდნენ იმ ფაქტს, რომ შვილის გარდაცვალებით მათ მიაღვათ ძლიერი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა. პალატის განმარტებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს შეფასებით, მორალური ზიანის გამო ფულადი კომპენსაცია შეიძლება მისცემოდა მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს.

უზენაესი სასამართლოს ადრინდელი პრაქტიკის მიხედვით, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების უფლება ჰქონდა მხოლოდ დაზარალებულს იმ საფუძველზე, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების სივრცე სამართალში შეზღუდულია. საკასაციო პალატამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე აღნიშნა, რომ მეუღლის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. იმ შემთხვევაში, როდესაც მორალური ზიანი რეალურად დადგება, მაგრამ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება. ამგავრი მოთხოვნის დაკმაყოფილებას კონკრეტული ნორმა უნდა დაედოს საფუძველად.<sup>100</sup>

ერთ-ერთ დავაზე,<sup>101</sup> საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ანუ მორალური ზიანი, რომელიც არ ატარებს რესტიტუციის მნიშვნელობას, ფულადი კომპენსაციით შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს, თუმცა

<sup>99</sup> სუსგ №ას-1156-1176-2011,20.01.12.

<sup>100</sup> სუსგ №3კ-1218-01 24.04.02; №3კ/242,06.04.01; №3კ-1443-02,29.01.03; №ას-14-466-05, 09.11.06; №ას-105-545-06, 27.09.06.

<sup>101</sup> სუსგ №ბს-78-78 (კ-12) 27.12.12.

აღნიშნული არ გამორიცხავს გარდაცვლილის მშობლისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას, უკეთუ მას დანაშაულით უშუალოდ მიაღვა ზიანი. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებდა არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ აგრეთვე, შვილის უკანონოდ დაკავებას, მის წამებით სიკვდილს, წლების განმავლობაში ეფექტიანი მართლმსაჯულების განუხორციელებლობას შვილის დაღუპვით განცდილი უდიდესი სულიერი ტანჯვის ფონზე, ასევე, მოპასუხეთა მიერ აღნიშნული საქმის მიმართ ცინიკური დამოკიდებულებით მისთვის უშუალო ზიანის მიყენებას.

სხვა საქმეზე,<sup>102</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად უთითებდნენ არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ აგრეთვე, სამხედრო-საველე სასამართლოს უკანონო შექმნითა და საქმიანობის შედეგად უშუალოდ მათთვის მიყენებულ ზიანს. მოსარჩელები აგრეთვე, მიუთითებდნენ, რომ შვილის სამშობლოს მოღალატედ გამოცხადება მათთვის პიროვნულად დამორგუნველი იყო, შეიცვალა მათ მიმართ თანამშრომლებისა და მეზობლების დამოკიდებულება. გარდაცვლილის მამა ერიდებოდა საზოგადოებაში გამოჩენას, რის გამოც მოუხდა სამსახურისათვის თავის დანებება. საომარი მოქმედებების დროს, გარდაცვლილი შვილის ცხედრის მოსაძებნად და გადმოსასვენებლად, გარდაცვლილის მამას ორჯერ მოუხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩასვლა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. შვილის ცხედრის მოძებნის მიზნით, სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მითითებულ ადგილას გათხარეს საფლავი, სადაც ნახეს თავმოჭრილი გვამი, რომელიც არ აღმოჩნდა მისი შვილი, ანუ მოსარჩელებს სახელმწიფო მოხელეთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად უშუალოდ მიაღვათ მორალური ზიანი.

ამდენად, ადრე ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, იმის გამო, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს კანონით მხოლოდ ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ხოლო შვილის გარდაცვალების გამო

---

<sup>102</sup> სუსგ №ბს-1107-1096 (კ-11) 03.04.12.

მშობლისათვის ამ ზიანის ანაზღაურებას კანონმდებლობა არ იცნობს. ჯანმრთელობის დაზიანების გამო მორალური ზიანი აუნაზღაურებოდა თავად დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს, ამასთან, სიკვდილის შემდეგ მორალური ზიანის ანაზღაურება დაუშვებელი იყო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის დისპოზიცია ცხადყოფს, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია, კანონმდებლობა პირდაპირ იცნობდეს კონკრეტული სახის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

ამ მიმართულებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ არათანმიმდევრულად ყალიბდებოდა წლების განმავლობაში, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018 წლის გადაწყვეტილებით, საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“,<sup>103</sup> მიდგომა საკითხისადმი რადიკალურად შეიცვალა. ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა ასეთი მიდგომა, რომელიც ყველა შემთხვევაში „უპირობო უარს“ აცხადებდა შვილის გარდაცვალების გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „უზენაესი სასამართლოს მიერ იმის დადასტურების ფონზე, რომ მომჩივანმა „უდავოდ“ განიცადა ფსიქოლოგიური სტრესი მისი ახალგაზრდა შვილის გარდაცვალების გამო, უპირობო საკანონმდებლო შეზღუდვით მომჩივანს გაუძარტლებლად წაერთვა შესაძლებლობა, სასამართლოს გზით მოეთხოვა კომპენსაციის მიღება არაქონებრივი ზიანის სანაცვლოდ, როგორც მისთვის ხელმისაწვდომი სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალება.“

ზემოაღნიშნული პრაქტიკა შეიცვალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ. საკასაციო პალატამ აღნიშნა,<sup>104</sup> რომ უდავოა ახალგაზრდა შვილის გარდაცვლებით მშობლის მიერ მორალური ტკივილის განცდა, მაგრამ იგი არ ექვემდებარება მატერიალურ ანაზღაურებას, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. მორალური ზიანი კი, ის სულიერი განცდა და ფიზიკური ტკივილია, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცდის ფიზიკური პირი. მორალური

<sup>103</sup> Sarishvili-Bolkvadze v Georgia, no. 58240/08, §97.

<sup>104</sup> სუსგ №ბს-327-309 (2კ-07) 16.05.19.

ზიანი თავისი ხარისხით და წარმოშობის საფუძვლების მიხედვით, შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ეროვნული კანონმდებლობით, გარდაცვლილის დედას არ მიეცა მორალური ზიანისათვის სათანადო კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა. ეროვნულმა სასამართლომ ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კონტექსტში ერთმანეთისაგან მკვეთრად გაიმიჯნა საჯარო მოხელის და კერძო პირის ქმედებით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევები. ორივე შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა არის განსხვავებული, უფრო კონკრეტულად, ევროპული სასამართლო სახელმწიფოს ავალდებულებს, კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლებიდან გამომდინარე, ეროვნულ კანონმდებლობაში იქონიოს შვილის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის მარეგულირებელი ნორმები,<sup>105</sup> მაშინ, როდესაც კერძო პირის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში, სახელმწიფოებს არ აკისრიათ ვალდებულება, კანონმდებლობით კომპენსაციის სახედ გათვალისწინებული ჰქონდეთ მორალური ზიანი, იმ შემთხვევაში, თუკი ხელმყოფი პირი არ არის სახელმწიფოს წარმომადგენელი და აღნიშნულ შემთხვევასთან მიმართებით, არ იკვეთება სახელმწიფოს არც პირდაპირი და არც ირიბი პასუხისმგებლობა.<sup>106</sup>

ერთ-ერთ საქმეზე<sup>107</sup> მოსარჩელები არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდნენ არა როგორც გარდაცვლილი შვილის უფლებამონაცვლეები, არამედ პირადად, როგორც შვილის გარდაცვალებით უშუალოდ დაზარალებული პირები. პალატამ განმარტა, რომ რამდენადაც კონვენცია ინკორპორირებულია სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კონვენციით ისევე, როგორც შიდა სამართლის სხვა ნორმებით. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.

<sup>105</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე, აკოცი თურქეთის წინააღმდეგ (Akkoc v. Turkey), nos. 22947/93, 22948/93, 2000; კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keenan v. United Kingdom), no. 27229/95, 2001; ზეტი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Z and others v. United Kingdom), no. 29392/95, 2001; რეინოლდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Reynolds v. The United Kingdom), no. 2694/08, 2012)

<sup>106</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე, ზავოლოკა ლატვიის წინააღმდეგ (Zavoloka v. Latvia), no. 58447/00, 2009; ბრინკატი და სხვები მალტის წინააღმდეგ (Brincat and others v. Malta), nos. 60908/11, 62110/11, 62129/11, 62312/11, 62338/11, 2014).

<sup>107</sup> სუსგ №ბს-919 (2კ-20), 16.09.2021.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკა შეესატყვისება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახულ მოთხოვნებს მშობლისათვის შვილის გარდაცვალების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის საჭირო სათანადო სამართლებრივი საშუალებების არსებობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სათანადო საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის მიუხედავად, ჩამოყალიბებულმა ერთგვაროვანმა სასამართლო პრაქტიკამ გვერდი აუარა საკანონმდებლო ვაკუუმს და შესაბამისი პირობების არსებობისას, დასაშვებად აქცია შვილის გარდაცვალების შედეგად მშობლისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ შვილის გარდაცვალებით განცდილი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში ძირითად კრიტიკის საგნად არის ქცეული ამგვარი ზიანის ანაზღაურების უპირობო გამორიცხვა. ევროპული სასამართლო ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ აუცილებელია ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში გაითვალისწინონ აღნიშნული სახის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის საჭირო სამართლებრივი საშუალებები, თუმცა სტრასბურგის სასამართლო თავად სახელმწიფოებს უტოვებს მიხედულების თავისუფალ ფარგლებს ამგვარი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დეტალური საკითხების განსაზღვრაში. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საჯარო მოხელის ბრალეული ქმედების შედეგად პირის გარდაცვალებით გამოწვეული უდიდესი ტრაგედია გარდაცვლილი პირის მშობლებში უდავოდ იწვევს განსაკუთრებით მტკივნეული სულიერი განცდების წარმოქმნას. საგამონაკლისო შემთხვევების გარდა (მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბიოლოგიურ მშობლებს არანაირი ურთიერთობა არ აქვთ გარდაცვლილ პირთან), შვილის გარდაცვალებას მოჰყვება მშობლების სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი. ხშირ შემთხვევაში, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მორალური ტრავმის შედეგები წლების შემდგომ იჩენს თავს. ამას განაპირობებს მორალური ტრავმის განგრძობადი ხასიათი, კერძოდ, ტრავმით გამოწვეული სულიერი ტანჯვა არ არის იმწუთიერი ან დროის კონკრეტულ მონაკვეთში განცდილი. იგი გრძელდება ხანგრძლივად, ტრავმის წარმოშობიდან მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, თავად სულიერი ტანჯვის მიმართ ადამიანის ჯანმრთელობის მდგრადობა ინდივიდუალურია, რაც გულისხმობს, რომ შესაძლოა ერთი და იმავე ინტენსივობის მორალურმა ტრავმამ სხვადასხვა ადამიანში ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები გამოიწვიოს. ამდენად, წარმოუდგენელია არსებობდეს ჯანმრთელობის

მდგომარეობის დაზიანების უნივერსალური საზომი, რომლის ფარგლებშიც ყველა პირის მიმართ იქნებოდა შესაძლებელი მორალური ზიანის არსებობა-არარსებობის საკითხის განსაზღვრა. აღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსახილველი საქმისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური მახასიათებლებით ხელმძღვანელობს.

### **სამართლებრივი დასკვნა**

მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია მოქმედებით (უმოქმედობით) და რომელიც ხელყოფს მოქალაქის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს. ამასთან, როდესაც ადგილი აქვს ახლობელი ადამიანის (მეუღლის, შვილის, დედის, მამის, დის, ძმის) გარდაცვალებას, მოქმედებს ე.წ. „მორალური ზიანის პრეზუმფცია“ და ზიანის მიმყენებლის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, ივარაუდება, რომ აღნიშნულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა.

მეუღლის, შვილის ან ოჯახის სხვა წევრის გარდაცვალებით გამო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნის მიმართ განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა. მიიჩნევდნენ, რომ არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების უფლება გააჩნდა მხოლოდ დაზარალებულს. აღნიშნული პრაქტიკა შეიცვალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ<sup>108</sup>. დადგენილი პრაქტიკის ცვლილებას საფუძველად დაედო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა გარდაცვლილის დედისათვის განცდილი მორალური ტანჯვით მიყენებული ზიანის კომპენსირების აუცილებლობაზე.

### **13. ჯანმრთელობის დაზიანებისას სარჩოს გადახდის წინაპირობები**

<sup>108</sup> სუსგ №ბს-327-309 (2კ-07) 16.05.19.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ორგანოს დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, გარდა მატერიალური და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისა, თუკი სახელმწიფო მოსამსახურის უკანონო ქმედებას შედეგად დაზარალებულის გარდაცვალება მოჰყვა, სახელმწიფო ვალდებულია დაუწესოს სარჩო იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო.

საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე<sup>109</sup> აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის გამოყენებისათვის სახეზე უნდა იყოს დაზარალებულის ცალსახად დადასტურებული ვალდებულება – არჩინოს ან სარჩო გადაუხადოს დაზარალებულ პირს. ამასთან, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ.

იმავე კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად კი, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. ამრიგად, ზიანის ანაზღაურების წინაპირობების წარმოშობისას, პირველ ყოვლისა, განხილული უნდა იყოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის საკითხი, თუ ეს ფაქტობრივად შეუძლებელია ან არათანაზომიერ დანახარჯებს საჭიროებს, მაშინ ზიანი უნდა ანაზღაურდეს ფულადი სახით,

---

<sup>109</sup> სუსგ №ბს-919 (2კ-20) 16.09.2021.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში კი, დაზარალებულს დაენიშნება ყოველთვიური სარჩო.

სხვა საქმეზე<sup>110</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩოს დანიშვნის ნაწილში, მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება არა სოციალური სფეროს მარეგულირებელ ნორმებს, არამედ დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელ კანონმდებლობას, ხოლო მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ან/და იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. პალატამ განმარტა, რომ ჯანმრთელობის დაზიანებისას, სარჩოს გადახდის მიზანი არ არის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება კერძოსამართლებრივი მნიშვნელობით, არამედ სარჩოს არსი და იდეა არის დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე, ფიზიკურ-სოციალური საჭიროებების კომპენსირება. სარჩოს დანიშვნას საფუძველად ის რეალობა უდევს, რომ დაზარალებული, შრომის უნარის დაქვეითების, ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული სირთულეების გამო, ვეღარ ახერხებს მისთვის ნორმალური ცხოვრების წესის გაგრძელებას, საკუთარი ძალებით საჭირო ანაზღაურების გამომუშავებას ან ეზრდება დანახარჯები მკურნალობასა თუ გარემო პირობებთან დამატებით ადაპტაციის საჭიროების გამო. სწორედ ამ დანაკლისის კომპენსაციას ხმარდება ყოველთვიური სარჩო შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩოს გამოთვლა დაკავშირებული უნდა იყოს საარსებო მინიმუმის არა ნორმატიულად განსაზღვრულ ოდენობასთან, არამედ კონკრეტული პირის აუცილებელი მოთხოვნილებების კომპენსირების შესაძლებლობასთან.

### **სამართლებრივი დასკვნა**

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული მარჩენალი, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მაგალდებულებელი გარემოება. სახელმწიფო ორგანოს დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, გარდა მატერიალური და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისა,

---

<sup>110</sup> სუსგ №ბს-239-237 (2კ-16), 01.11.16.



თუკი სახელმწიფო მოსამსახურის უკანონო ქმედებას შედეგად დაზარალებულის გარდაცვალება მოჰყვა, სახელმწიფო ვალდებულია, დაუწესოს სარჩო იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ზიანის მიმყენებელმა სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე მისი ბრალით დაზარალებული თანამშრომელი იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფნი ანუ ეხადა სარჩო სარჩენი პირებისათვის.

#### 14. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

სკ-ის 408-ე მუხლის შესაბამისად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამოყოფს ქონებრივი ზიანის ორ სახეს: ფაქტობრივად დამდგარ (რეალურ) ქონებრივ დანაკლისსა და მიუღებელ შემოსავალს. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი კი ისაა, რომ ზიანი უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი.<sup>111</sup> სკ-ის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. ამდენად, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, განაცდურ ქონებრივ ნამეტს, რომელიც შესაძლოა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს არა ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვის გარეშე, არამედ „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა მოვლენები მართლზომიერების ფარგლებში რომ მოთავსებულიყო.<sup>112</sup> მიუღებელი შემოსავლის დადგენისათვის გასათვალისწინებელია, თუ რამდენად მოსალოდნელი და რეალური იყო მისი მიღება.

<sup>111</sup> სკ-ის 408-ე, 411-ე და 412-ე მუხლები.

<sup>112</sup> ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სახელმწიფოებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 653.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>113</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მატერიალურ ზიანად აკვალიფიცირებს ფაქტობრივად მიყენებულ (რეალურ) ზიანს და მიუღებელ შემოსავალს. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს ეკონომიკურ დანაკარგს, რომელიც მხარემ განიცადა და რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. იმისათვის, რომ შემოსავალი რეალურად მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება.<sup>114</sup> ზიანის ანაზღაურების (როგორც ფაქტობრივად დამდგარი დანაკლისის, ასევე მიუღებელი შემოსავლის) მოვალეობის დაკისრების უმთავრესი წინაპირობა მიზეზობრივი კავშირია მოვალის ქმედებასა და ქმედების შედეგად დამდგარ ზიანს შორის, რაც დგინდება ე.წ. ეკვივალენტურობის პრინციპის საფუძველზე ანუ ქმედება უნდა იყოს შედეგის ეკვივალენტური (condicio sine qua non).

საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში<sup>115</sup> განმარტა, რომ სკ-ის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით. მიუღებელი შემოსავალი ეს არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად.

მიუღებელი შემოსავლის მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს აბსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ ხსენებული უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით.

<sup>113</sup> სუსგ №ბს-508 (2კ-21), 12.07.22.

<sup>114</sup> სუსგ №ას-945-895-2015, 14.03.16; №ას-307-291-2011, 24.10.11; №ას-899-845-2012, 22.11.12.

<sup>115</sup> სუსგ №ას-406-383-2014, 17.04.15; №ას-218-210-2013, 10.03.14; №ას-406-383-2014, 17.04.15.

მიუღებელი შემოსავლის თაობაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სასარჩელო მოთხოვნის არსებობისას, მტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა. სწორედ მოსარჩელეს ევალება შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ობიექტური, რეალური სურათის ამსახველი და არა ვარაუდზე ან ალბათობაზე დაფუძნებული შემოსავლის მიღების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა<sup>116</sup>, რომ მხარეთა მტკიცების სტანდარტი განაპირობებს იმას, რომ სათანადო მტკიცებულებებისა და გარემოებების კომპლექსურად შეფასებით მიუღებელი შემოსავლის აბსტრაქტულად არსებული შინაარსის მოთხოვნა იქცეს რეალურად არსებულ ზიანად.

მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ობიექტური, დადასტურებადი გარემოებებით, რათა არ მოხდეს დაზარალებულის უსაფუძვლოდ გამდიდრება.<sup>117</sup> უკანონო მსჯავრდების შედეგად მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით დადგენილია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, რეაბილიტირებული პირისათვის გათვალისწინებულია მატერიალური ზიანის სახით, იმ თანხის ოდენობით ანაზღაურება, რომელსაც იგი მიიღებდა უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების არარსებობის პირობებში.<sup>118</sup>

ერთ-ერთ დავაზე<sup>119</sup>, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ საკასაციო საჩივრით სადავო გახადა მოსარჩელისთვის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საფუძვლიანობა და ოდენობა. სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა ფართის კომერციული დანიშნულება, სავაჭრო ობიექტის წილზე მოსარჩელის საკუთრების უფლება და მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების სახით დაეკისრა არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში, არამედ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. საკასაციო პალატის განმარტებით, ასეთ პირობებში არ იყო საკმარისად დასაბუთებული ასანაზღაურებელი მიუღებელი შემოსავლის ოდენობა და პერიოდი, ფართის გაქირავებით შემოსავლის მიღების

<sup>116</sup> სუსგ №ბს-705(კ-21) 03.05.22.

<sup>117</sup> სუსგ №ბს-19-18(კ-17), 29.06.17.

<sup>118</sup> სუსგ №ბს-1202 (კ-19), 25.11.21.

<sup>119</sup> სუსგ №ბს-376(კ-22) 18.10.22.

მოსალოდნელობის პერიოდის გავრცელება გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ვინაიდან ზიანის მიმყენებელს აღარ ეკისრება ნივთის გაუქმირავებლობით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულება.

ამასთან, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს არა ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვის გარეშე, არამედ „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss).

საკასაციო პალატის განმარტებით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისკენ, რის გამოც ზიანის მოცულობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება<sup>120</sup>, პირის იმაზე უკეთეს ქონებრივ მდგომარეობაში აღმოჩენა, ვიდრე იგი იქნებოდა ზიანის გამომწვევი ქმედების არ არსებობის შემთხვევაში<sup>121</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით,<sup>122</sup> მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, განაცდურ მოგებას, რომელიც შესაძლოა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში და რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის კომერციულ ინტერესში შედის. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების ისეთი ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ ეჭვის საფუძველს. აღსანიშნავია, რომ მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილება, ზიანის მიყენების ფაქტის ასევე, განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია. ამასთან, ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით.

<sup>120</sup> სუსგ №ას-945-895-2015, 14.03.16.

<sup>121</sup> სუსგ №ბს-1031(კ-20) 21.06.21.

<sup>122</sup> სუსგ №ბს-740-736 (კ-17), 16.05.19.

## სამართლებრივი დასკვნა

მიუღებელი შემოსავალი ანუ განაცდური მოგება (lucrum cessans) ექვემდებარება ანაზღაურებას. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო.

იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. ამასთან, მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. სასამართლო პრაქტიკაში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.

ის ფაქტი, რომ მტკიცების ტვირთი კრედიტორის მხარესაა, სასამართლოს აზრით, გულისხმობს მიუღებელი შემოსავლის დასადასტურებლად უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას.<sup>123</sup>

## ძირითადი მიგნები

- სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ განხორციელებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება წესრიგდება საჯარო კანონმდებლობით.
- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა სუბიექტთა სხვადასხვა წრეს ეკისრება. არსებობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, სოლიდარული პასუხისმგებლობა და საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობა.
- იმ ზიანისათვის, რომელსაც გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების, მათი თანამდებობის პირების ან სხვა მოსამსახურეების ქმედება, პასუხისმგებელია სახელმწიფო ან შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო.

---

<sup>123</sup> ძლიერიშვილი ზ. და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. პერიდიანი, 2014, გვ. 653-654.

- პირი, როდესაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ზიანს მიაყენებს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, წარმოშობილი ზიანიც ექვემდებარება ანაზღაურებას.
- პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.
- ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს.
- განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს, საჯარო მოხელე, რომლის ქმედებამაც გამოიწვია ზიანი, სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.
- მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესოსამართლებრივი, ისე მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობაც. შესაბამისი ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა.
- სასამართლო პრაქტიკაში ხაზგასმულია მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობა და მითითებაა სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების პირნათლად შესრულებაზე.
- ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურებოდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.
- დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით დადგენილი მოთხოვნების გავრცელება სპეციალური ნორმით.
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს ქმნის ქმედების უკანონობა და პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა.
- კანონმდებლობა არ შეიცავს მარეაბილიტირებელი გარემოების ჩამონათვალს, თუმცა უდავოა, რომ ასეთს განეკუთვნება გამამართლებელი განაჩენი.

- სახელმწიფო ვალდებულია ანაზღაუროს რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამოსასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.
- პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.
- ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: დამდგარი ზიანი, მართლწინააღმდეგობა – უკანონო ბრალდება/მსჯავრდება, მიზეზობრივი კავშირი უკანონო ბრალდებას/მსჯავრდებასა და დამდგარ ზიანს შორის, აგრეთვე, პირის მარეაბილიტირებელი გარემოება.
- არაქონებრივი ზიანის წარმოშობა შეიძლება დაუკავშირდეს როგორც ადამიანის სხეულებრივი ან სულიერი ტკივილის განცდას, ისე მისი პიროვნული უფლებების ხელყოფას. კანონით გათვალისწინებული შემთხვევები შეიძლება უკავშირდებოდეს პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და სხვა.
- არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმი ზიანის გამომწვევი ქმედების ხასიათი და სიმძიმეა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია საქმის ინდივიდუალურ გარემოებებთან.
- მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, აგრეთვე, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა და სხვ.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგომისათვის უშუალოდ ზიანის მიმყენებელ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობის დადგენის საჭიროების არარსებობას.

- სამედიცინო პერსონალის ქმედებით გამოწვეული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან გარდაცვალების შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს დამდგარი ზიანის ანაზღაურება.
- მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტული და არა აბსტრაქტული გარემოებებით, რათა არ მოხდეს დაზარალებულის უსაფუძვლოდ გამდიდრება.